პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 31 (11035) | ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალისტური დემოკრატიის ცხოველმყოფელი ძალა

საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითი შრომის მზარდი აღმავლობით ემზადებიან ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ოთხი წლის წინათ, 1954 წლის მარტში, საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს და აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. დეპუტატებმა გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა. ისინი, როგორც ხალხის ნამდვილი მსახურნი, ენერგიულად ზრუნავდნენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც გასული წლის შედეგები, ისე უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ განვლილი პერიოდის შედეგებიც, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი ისტორია — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ორმოცი წლის გამოცდილება ნათლად მოწმობენ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სიცოცხლისუნარიანობას, მის დიდ უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების წყარო, მისი ღრმა დემოკრატიზმი და ნამდვილი ხალხურობა იმაში მდგომარეობს, რომ თავის საქმიანობაში იგი გამოდის ხალხის ინტერესებიდან და მას თვით ხალხი მართავს.

საბჭოთა ადამიანი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელია. საბჭოთა კონსტიტუცია მას ანიჭებს შრომის უფლებას, დასვენების უფლებას, მოხუცებულობაში და ავადმყოფობის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას. ჩვენს ქვეყანაში ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანია. ადამიანის ყველა უფლება ხორცშესხმული რეალობაა. სოციალისტური სახელმწიფო არა მარტო ანიჭებს უფლებას მოქალაქეს, არამედ ყველა პირობას ქმნის ამ უფლების დაცვისა და სინამდვილედ ქცევისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს წარმმართველი ძალაა სახელოვანი კომუნისტური პარტია. კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას თავიანთ მოღვაწეობაში არა აქვთ სხვა ინტერესი, გარდა ხალხის ინტერესებისა. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უმაგალითო ტემპით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ტექნიკა, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში აგებულ იქნა გორკის, კუიბიშევის, მინგეჩაურის, კახოვკის, ირკუტსკის, ტყიბულის და მრავალი სხვა ჰიდროელექტროსადგური; ამუშავდა მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგური; წყალში ჩაუშვეს ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“; შექმნილია საოცარი თვითმფრინავები „ტუ-104“ და „ტუ-114“. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ათვისებულ იქნა მილიონობით ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ქმნიან მატერიალური დოვლათის სიუხვეს, სულ უფრო მეტი რაოდენობით იძლევიან პურს, ბამბას, კარტოფილს, ხორცს, რძეს, კარაქს.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ საქართველოს მეტალურგებს, მეშახტეებს, მუშებს, კოლმეურნეებს. მათი პროდუქცია ვრცელდება და მოწონებას იმსახურებს ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

თავისუფალი, შრომისმოყვარე საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომით იქმნება სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება. სოციალისტური სახელმწიფო უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით უკანასკნელ წლებში მრავალი ღონისძიება განხორციელდა მშრომელთა საკეთილდღეოდ. ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 141,3 მილიარდი მანეთიდან გადიდდა 212,7 მილიარდ მანეთამდე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას. მთელ რიგ დარგებში მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო დღე, მოწესრიგდა პენსიების საქმე, ხელფასი გაუდიდდათ მცირეხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს, გაუქმდა სწავლის გადასახადი უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში; კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები განთავისუფლდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან. ასე მაღლდება საბჭოთა ხალხის საარსებო დონე.

სულ სხვა ვითარებაა კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც გამეფებულია ძალადობა, ექსპლოატაცია, მშრომელთა აბუჩად აგდება, უუფლებობა, შიმშილი და სიღატაკე. კაპიტალიზმის აპოლოგეტებს თუმცა დიდი სურვილი აქვთ სამოთხედ წარმოგვიდგინონ ბურჟუაზიული დემოკრატია და „ცხოვრების ამერიკული წესი“, მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ შეცდომაში შეიყვანონ მასები.

სანამ არსებობენ ექსპლოატატორები, რომლებიც უმრავლესობაზე ბატონობენ, შეუძლებელია არსებობდეს დემოკრატია უმრავლესობისათვის. ვ. ი. ლენინი გვასწავლის: „ბურჟუაზიული დემოკრატია, წარმოადგენს რა დიდ ისტორიულ პროგრესს შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით, ყოველთვის რჩება — და კაპიტალიზმის დროს არ შეიძლება არ რჩებოდეს — ვიწრო, შეკვეცილ, ყალბ, თვალთმაქცურ დემოკრატიად, სამოთხედ მდიდრებისათვის, მახედ და მატყუარობად ექსპლოატირებულთათვის, ღარიბთათვის“.

რა დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გამეფებულია რასობრივი დისკრიმინაცია, სადაც არჩევნების დროს შრომის ადამიანს ორმოცდაათამდე სხვადასხვა სახის შეზღუდვა უქმნის დაბრკოლებას თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდაში.

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები დაეხმარება მკითხველს იმაში, რომ რეალური წარმოდგენა იქონიოს ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამდვილ არსზე.

იყო დრო, როცა ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა ლიბერალობა გამოეჩინა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ უფლებებს იცავდა, ხალხში პოპულარობას იქმნიდა. მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა და მისი ლიბერალიზმიდან კვალიც აღარ დარჩენილა. „აღარ არის ეგრეთწოდებული „პიროვნების თავისუფლება“, პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ იმათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქენი კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლოატაციისათვის... ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია“. ასე დაახასიათა შექმნილი ვითარება ი. ბ. სტალინმა პარტიის XIX ყრილობაზე. მან კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს მოუწოდა აღმართონ და წინ წაიღონ ეს დროშა.

წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა და იცავდა ერის ინტერესებს. მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა და „ეროვნული პრინციპებისაგან“ კვალიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია.

კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის რეალური შესაძლებლობანი და გზები დასახა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირმა. თათბირზე მიღებული დეკლარაცია ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები.

კაპიტალის მონობაში მყოფ ხალხებს, ექსპლოატირებულ მშრომელებს თავისუფლებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის არსებობის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის ფაქტი. სსრ კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს თვით ხალხი მართავს, არ შეიძლება შელახულ იქნას ხალხის უფლებები, ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ კეთდება.

დიდია სოციალისტური დემოკრატიის ცხოველმყოფელი ძალა. იგი ადამიანის უფლებათა დაცვის, ადამიანთა შემოქმედებითი ნიჭის სრულყოფილად გაშლის, ბედნიერი და საამური ცხოვრების დამკვიდრების მთავარი პირობაა. მომავალი ხალხთა თავისუფლებას და სოციალისტურ დემოკრატიას ეკუთვნის.

# ხალხი ასახელებს თავის კანდიდატებს

## საქართველოს მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც დიდი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობით მიმდინარეობს. კრებებზე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში კანდიდატებად ასახელებენ ყველაზე ღირსეულ, ყველაზე რჩეულ ადამიანებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულება. 5 თებერვალს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართა მწერალთა კავშირის წევრთა და თანამშრომელთა წინასაარჩევნო კრება. სურათზე: მწერალი მარიკა ბარათაშვილი მხარს უჭერს წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგოხიასი.



### თბილისი

შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა და თანამშრომელთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ს. ჭილაიამ.

სიტყვა აიღო მწერალთა კავშირის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა პოეტმა ი. ნონეშვილმა, რომელმაც განაცხადა:

— მთელი ჩვენი ქვეყანა ერთსულოვნად ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ინტელიგენციის წარმომადგენლები წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ხალხის რჩეულ შვილებს. ქართველმა მეცნიერებმა ერთსულოვნად დაასახელეს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის კალინინის № 655 საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.** ქართველი მწერლების სახელით მხარს ვუჭერ ამ კანდიდატებს.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს მწერლებმა მ. ბარათაშვილმა, ა. მირცხულავამ, ს. შანშიაშვილმა, ა. გომიაშვილმა.

ამავე საარჩევნო ოლქში თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი** და **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

შედგა ნ ნაწილის პირადი შემადგენლობის კრება. კრებაზე გამოსულმა საბჭოთა კავშირის გმირმა აბიზოვმა წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.** ამავე კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი **კუზმა ნიკიტას-ძე გალიცკი.**

თბილისის კიროვის № 144 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივისაგან წამოყენებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი** და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **გიორგი ანდრიას-ძე გეგეშიძე.** ამავე ოლქში კოტონის ფაბრიკის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი** და **გიორგი ანდრიას-ძე გეგეშიძე.**

წინასაარჩევნო კრება შედგა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში. აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 145 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი** და კომბინატის მოწინავე მქსოველი **ნინო დიმიტრის ასული ამოსოვა.**

### ჭიათურა

ლენინის სახელობის მაღაროში გაიმართა წინასაარჩევნო კრება. სიტყვა აიღო მაღაროს მთავარმა ინჟინერმა აკაკი ფხალაძემ. მან თქვა:

— ჩვენ შევიკრიბეთ, რათა დავასახელოთ დეპუტატობის კანდიდატები, ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების ზესტაფონის № 663 საარჩევნო ოლქში ვასახელებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს **მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძეს.**

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს მებიგე მიხეილ ენუქიძემ და მემანქანე ანდრო დვალიშვილმა.

მაღაროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა აკაკი სხირტლაძემ ამავე ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ფროლ რომანის-ძე კოზლოვი.**

ამხ. სხირტლაძის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ინჟინერმა რაჟდენ დევიძემ და მებიგე გრიგოლ ზინზიბაძემ.





სურათებზე: (ზევით) კალინინის რაიონის № 21 აგიტპუნქტის გამგე ე. სიგუა აგიტატორებთან ერთად აზუსტებს ამომრჩეველთა სიებს; (ქვევით) აგიტატორი ი. ბეგლაროვა ესაუბრება რუსთაველის პროსპექტზე № 31 სახლში მცხოვრებ ამომრჩევლებს.

ფოტო ი. დვალისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### რუსთავი

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში წინასაარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილ წინასაარჩევნო კრებას ხსნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ჭყონია.

— ჩვენი ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით, — ამბობს ქარხნის თბოელექტროცენტრალის უფროსი რ. მონასელიძე, — წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის № 657 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.**

ამ წინადადებას დამსწრენი ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით ხვდებიან.

მარტენის საამქროს ამწის მემანქანემ მ. ახვლედიანმა, მხარი დაუჭირა რა წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის დასახელების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის № 657 საარჩევნო ოლქში დაასახელა მარტენის საამქროს მოწინავე მეფოლადე **შოთა ტრიფონის-ძე შუბითიძე.**

— ამხ. შ. შუბითიძე მოწინავე მეფოლადეა, — ამბობს ორატორი, — ყოველწლიურად გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ფოლადს ადნობს. იგი ღირსია დასახელებულ იქნას დეპუტატობის კანდიდატად.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საგლინავი საამქროს ელექტრიკოსმა ყ. სიმონიძემ, რომელიც ამ წინადადებას მხურვალედ უჭერს მხარს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქალაქ რუსთავის № 150 საარჩევნო ოლქში ასახელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ალექსი ილარიონის-ძე კირიჩენკოს.**

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა სარემონტო-მექანიკური საამქროს მუშამ თ. სუთიძემ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქალაქ რუსთავის № 150 საარჩევნო ოლქში დაასახელა მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე კოლმეურნე **რახმაის მამედ-ყზი ალიევა.**

### აჭარის ასსრ

ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში წინასაარჩევნო კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ტაბაღუამ. შემდეგ სიტყვა აიღო ამწყობ ზეინკალთა მოწინავე ბრიგადირმა ს. პოვერინოვმა.

— საბჭოთა ხალხი, — თქვა მან, — ყველა თავის ისტორიულ გამარჯვებას უმადლის სახელოვან კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს.

კრებამ ერთხმად დაადგინა წამოყენებულ იქნას ამხ. **კ. ე. ვოროშილოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის შაუმიანის № 387 საარჩევნო ოლქში.

ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირმა გ. პეტრენკომ განაცხადა:

— ჩვენი ქვეყნის მშრომელები სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილებს, უკეთესებს უკეთესთა შორის. ჩვენს ქარხანაში დიდი ხანია წარმატებით მუშაობს ზეინკალი მიხეილ სამსონის-ძე დუნდუა, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას მ. ს. დუნდუა.

კრებამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას **მ. ს. დუნდუა** და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის შაუმიანის № 387 საარჩევნო ოლქში.

ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბათუმის ლენინის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი** და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **დავით მიხეილის-ძე მამულაძე.**

მთავარნავთობგასაღების ბათუმის სასაქონლო-სატრანსპორტო სამმართველოსაგან ბათუმის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ფატუშა დავითის ასული დუმბაძე.**

### სამხრეთ ოსეთი

სტალინირის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის № 142 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ იქნან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე.**

ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგარის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 622 ოლქში დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი** და ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ივანე ხარიტონის-ძე ძუგაევი.**

სტალინირის ლუდის ქარხნის კოლექტივისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სტალინირის საქალაქო საარჩევნო ოლქში დასახელებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ისიდორე სამსონის-ძე დოლიძე.**

სტალინირის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად გორის საარჩევნო ოლქში წამოაყენეს **მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი** და საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი.**

# ხალხთა დიადი მეგობრობის დროშით

## ჭიათურა—სიგულდა

ეს ამბავი უბრალოდ დაიწყო. გასულ წელს ჟურნალ „ოგონიოკის“ გარეკანზე მოთავსებული იყო ჭიათურის ყველაზე სრულყოფილი სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის ფოტოსურათი. იგი უნახავთ შორეული ლატვიის ცნობილ კურორტ სიგულდაში, რომელიც თავისი რელიეფით ფართო შესაძლებლობას იძლევა საჰაერო-საბაგირო გზების მშენებლობისათვის. სიგულდელებმა განიზრახეს ახლოს გაცნობოდნენ, დამეგობრებოდნენ ჭიათურელებს და მათი დახმარებით თვითონაც გაეკეთებინათ სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა.

გასული წლის ზაფხულში ჭიათურაში ჩამოვიდა სიგულდის რაიაღმასკომის საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგე აივარ იანელსტისი და თან ჩამოიტანა სიგულდელი მეგობრების გამოგზავნილი ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ პარტიის სიგულდის რაიკომის მდივანი გეისლაუ და რაიაღმასკომის თავმჯდომარე კალბიონოვი. ბარათში ვკითხულობთ:

„ძვირფასო მეგობრებო! მოგმართავთ ჭიათურელ მშრომელებსა და ხელმძღვანელ ამხანაგებს გულითადი თხოვნით — გაგვიწიოთ ძმური დახმარება, რათა ბალტიისპირა მხარის ერთ-ერთ საუკეთესო კურორტ სიგულდაში ავაგოთ სამგზავრო-საბაგირო გზა და მას დავარქვათ „ქართველი ხალხისა და ლატვიელი ხალხის მეგობრობის გზა“. დაე მტკიცდებოდეს ქართველი ხალხისა და ლატვიელი ხალხის ძმობა-მეგობრობა“.

ჭიათურელებმა დახმარება აღუთქვეს სიგულდელ მეგობრებს. დამყარდა მეგობრული კავშირი ორი ქალაქის მშრომელთა შორის.

ამას წინათ ლატვიელმა ხალხმა აღნიშნა ქ. სიგულდის დაარსების 750 წლისთავი. საიუბილეო ზეიმში ჭიათურელი ამხანაგებიც მონაწილეობდნენ.

ჭიათურელთა დელეგაცია დაბრუნებულიც არ იყო, რომ ქ. სიგულდაში გაემგზავრა მარგანტრესტის საპროექტო განყოფილების უფროსი, საჰაერო-საბაგირო გზების საუცხოო სპეციალისტი გ. ფანცულაია.

უკვე შერჩეულია ადგილი საბაგირო გზის მშენებლობისათვის. ჭიათურელი სპეციალისტები ადგენენ პროექტს, დაამზადებენ გზის ნაწილებს. მიმდინარე წელს აგებულ იქნება „ქართველი ხალხისა და ლატვიელი ხალხის მეგობრობის გზა“. გზის ერთ სადგურს დაერქმევა „ჭიათურა“, ხოლო მეორეს „სიგულდა“.

პ. ჭიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## რიგა—თბილისი

ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაემგზავრა თბილისის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის გამგზავრების მიზანია გასული წლიდან რიგის მშრომელებთან გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, აგრეთვე მიმდინარე 1958 წლისათვის ახალ ვალდებულებათა აღება.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ჭახრაკია, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ვაშაკიძე, პარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი გ. გოშაძე, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორი ნ. ქვანია, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ა. მარგველაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა

> ბურჟუაზიული დემოკრატია არის დემოკრატია მაღალფარდოვანი ფრაზებისა, საზეიმო სიტყვებისა, ლამაზი დაპირებებისა, თავისუფლებისა და თანასწორობის მყვირალა ლოზუნგებისა, საქმით კი ეს ფარავს იმ გარემოებას, რომ... მშრომელნი და ექსპლოატირებულნი მოკლებული არიან თავისუფლებასა და თანასწორობას.
>
> ვ. ი. ლენინი.

## ★ ★ საკუთარი თვალით

გასული წლის სექტემბერში კანადას ესტუმრა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაცია, რომელმაც მიიღო მონაწილეობა გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო ასამბლეის XI სესიის მუშაობაში. სესიის დამთავრების შემდეგ ჩვენი დელეგაციისათვის მოეწყო რამდენიმე ექსკურსია სხვადასხვა ქალაქში. კერძოდ, კანადის უდიდესი ქალაქის მონრეალის ახლოს დავათვალიერეთ იროკეზების ტომის ინდიელთა რეზერვაცია ტეკაკვიტაში, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 1.500 სულისაგან შედგება.

იროკეზების ტომი ერთ-ერთი უძლიერესი იყო ინდიელთა ტომებს შორის, მაგრამ ევროპელ კოლონიზატორებთან ომებში იგი ფიზიკურად განადგურდა, და დღეს კანადის ამ მკვიდრთა ნაშთები ათიოდე რეზერვაციაში არიან თავმოყრილნი.

საბჭოთა დელეგაციამ განსაკუთრებული სურვილი გამოთქვა გასცნობოდა ინდიელთა ყოფაცხოვრებას, თუმცა გვაგრძნობინეს, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ არ უყვართ, როცა უცხოელები ცნობისმოყვარეობას იჩენენ ინდიელთა მიმართ.

ინდიელთა ტომის ხელმძღვანელი და მისი ოჯახის წევრები, რომლებსაც ეროვნული ტანისამოსი ეცვათ, ღიმილითა და აშკარა კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა მეცნიერებს. ხელმძღვანელმა გვიამბო თავისი ტომის ტრაგიკული თავგადასავალი, გვიამბო, თუ როგორ მოვიდნენ მისი წინაპრები აქ 1719 წელს ნიუიორკის შტატიდან, როგორ ჟლეტდნენ მათ ფრანგი და ინგლისელი დამპყრობლები და უხვმოსავლიანი მიწებიდან მწირი ადგილებისაკენ ერეკებოდნენ.

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით გაიმართა მიტინგი. გამოირკვა, რომ ეს ერთი მუჭა ტომი დიდი იმედით შეჰყურებს საბჭოთა ქვეყანას და მოელის მისგან შველას. ორატორებმა დიდი სიამაყის გრძნობით განაცხადეს, რომ დახმარებისათვის მიმართეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ინდიელებთან შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მდიდარი მონრეალის გვერდით ქოხმახებში ცხოვრობენ განწირულ ინდიელთა ტომის ნაშთები, რომლებიც იძულებული არიან მძიმე სამუშაოს შესრულებით ირჩინონ თავი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იროკეზები კარგად იტანენ სიმაღლეს და ამიტომ თითქმის შეუცვლელნი არიან ცათამბჯენებისა და მაღალ ნაგებობათა მშენებლობის საქმეში.

კანადა ინგლისისა და ამერიკის ეკონომიური მეტოქეობის ერთ-ერთი ასპარეზია. როგორც კანადის პრემიერ-მინისტრმა დიფენბეიკერმა აღნიშნა, კანადის რესურსებისა და მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკულ ფირმებს ეკუთვნის და ამიტომ ეკონომიური კრიზისის შემთხვევაში, რომელიც სულ უფრო და უფრო ახლოვდება, კანადაში მოსალოდნელია უმუშევართა რიცხვის ზრდა ერთნახევარ მილიონამდე.

ამერიკის შეერთებული შტატები კანადის პოლიტიკურ უფლებებში ღრმად არიან შეჭრილნი. ქალაქ ტორონტოში დელეგაციის ჯგუფმა ინახულა ძიების გეოფიზიკური მეთოდების დამუშავების ერთ-ერთი პიონერი შვედი ჰანს ლუნდბერგი.

ლუნდბერგი დიდი კმაყოფილებით შეხვდა წინადადებას საბჭოთა კავშირში მოწვევის შესახებ. ამავე დროს მან შენიშნა, რომ არ შეუძლია რაიმე ნაბიჯი გადადგას, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ წინასწარი თანხმობა არ იქნა.

ეს მცირეოდენი ფაქტებიც მკაფიოდ ახასიათებენ ამერიკულ „თავისუფლებას".

პროფესორი **ბ. ბალავაძე.**



უსახლკარო ბარსელონელი ბავშვები მათხოვრობენ.

### პაბლო ნერუდა

## დაე გაიღვიძოს ტყისმჭრელმა!

(ნაწყვეტი)

შეხედე ზანგებს!  
ხომ გახსოვს მათი  
გამტანობა და  
გმირული ბრძოლა.  
დღეს მათ ქოხებთან  
სისხლიანი დგას სახრჩობელა.  
სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებს  
ლვიძლი ძმა შენი!  
ჰქონდა საკუთარ სისხლის დაღვრის  
უფლება გუშინ,  
მოკლებულია დღეს ყოველგვარ  
უფლებას იგი.  
შავ მოსასხამში  
გახვეული ავსზაკები —  
ერთ ხელში ჯვარით,  
მეორეში რეზინის შოლტით —  
შუაღამეში საიდანღაც  
გამომტყვრალები,  
აწიოკებენ კარმიდამოს  
უწყინარ ზანგთა.  
(და განა ამას პირდებოდნენ  
მეომრებს მაშინ,  
როცა ისინი მტერს  
ებრძოდნენ თავგანწირვითა?!)

### ნიკოლას გილიენი

## ისინი მკლავენ, თუ არ ვმუშაობ

ისინი მკლავენ, თუ არ ვმუშაობ,  
როცა ვმუშაობ, მაშინაც მკლავენ,  
და ვმუშაობ, თუ არა ვმუშაობ,  
რა გამოვიდა, მაინცა მკლავენ.

გუშინ გზად შევხვდი ერთ კაცს  
შემთხვევით,  
შორს ამომავალ მზეს უყურებდა:  
ზედ შუა გზაზე იდგა ბრმასავით,  
სინათლის ხილვას  
დანატრებული,  
და მზე თვალთან ამოდიოდა,  
მზე ცეცხლისფერი ამოდიოდა!

გუშინ გზად შევხვდი პატარა  
ბავშვებს.  
ერთი მეორეს ჰკლავდა ხუმრობით.

გუშინ გზად შევხვდი პატარა  
ბავშვებს,  
ერთი ხუმრობით ჰკლავდა მეორეს.

დავაჟკაცებულთ ვინ ეტყვის შემდეგ,  
რომ პატარები აღარ არიან.

დავაჟკაცებულთ ვინ ეტყვის შემდეგ,  
რომ კვლავ ბავშვები აღარ არიან,  
რომ მზე ყველასთვის აფრქვევს  
სინათლეს  
და ქვეყნად ყველა თანაბარია!

ისინი მკლავენ, თუ არ ვმუშაობ,  
როცა ვმუშაობ, მაშინაც მკლავენ  
და ვმუშაობ, თუ არა ვმუშაობ,  
რა გამოვიდა, ყოველთვის მკლავენ.

## მთვარეულები და „კოსმიური კოლონიალიზმი"

ძველად ადამიანი ფიქრობდა, რომ მთვარე მის ჯანმრთელობას ვნებს. აქედან წარმოდგა დაავადების სახელწოდებაც „მთვარეული". განსაკუთრებით წუხდნენ ისინი, რომლებსაც ღამე სიარულისა და უტკუო ლაპარაკის ნიშნები გამოაჩნდებოდათ.

ვერ ვიტყვით, ბუნებრივმა მთვარემ რა ზემოქმედება მოახდინა დასავლეთის გენერალთა ჯანმრთელობაზე, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ საბჭოთა ხელოვნურმა „მთვარეებმა" დიდად იმოქმედა მათს ნერვიულ სისტემაზე და ზოგ მათგანს მთვარეულის ნიშნები — მოლანდება, უსაზღვრო გიჟური ფანტაზია, უტკუო ლაპარაკი გამოაჩნდა.

დაიწყო უნუგეშო მოთქმა დასავლეთში, კაპიტალისტურ სამყაროში, თითქოს საბჭოთა კავშირი კოსმიური სამყაროს დაპყრობით იქ არსებულ ციურ მნათობებს მიითვისებდა და კოსმიურ სამყაროს თავისი გავლენის სფეროდ გამოაცხადებდა.

— ვინ იცის, იქნებ მარსზე ადამიანები ცხოვრობენ და რა ადვილი იქნება მათი გაყვლეფა, მათ ხომ ჯერ არ ეცოდინებათ ჩაგვრის კაპიტალისტური, განგსტერული ხერხები. ჩვენ უნდა დავასწროთ საბჭოთა კავშირს! ალაპარაკდა ამერიკის ზოგიერთი გაზეთი. მაგრამ როგორ? ისინი ხომ ადრე გაფრინდნენ საპლანეტთაშორისო სივრცეში — გაუშვეს ხელოვნური თანამგზავრები. აქ საზოგადოებრივი აზრი უნდა მოეშველიოთ, წერდა იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი უილიამ გელბრაიტი. „— თუ საბჭოთა კავშირი შეძლებს წარმატებით გადასხას ადამიანები მთვარეზე და თუ იქ ისინი განსაზღვრულ ხანს დაჰყოფენ საბჭოთა კავშირს შეუძლია მიისაკუთროს მთვარის მხოლოდ ის ნაწილი, სადაც მისი ადამიანები გადასხდნენ, და არავითარ შემთხვევაში მეტი".

„კოსმიური კოლონიალიზმი" — ასეთია იმპერიალისტების ახლანდელი მისწრაფება. ეს იმანაც განაპირობა, რომ იმპერიალისტურ ქვეყნებს დედამიწაზე ბევრ კოლონიაში ამოუკვეთეს ფეხი და ახლა ისინი ახალ ოცნებას მიეცნენ — პლანეტებისაკენ დაიწყეს ყურება. რას იზამ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!

ერთ-ერთმა გაზეთმა „დე ვიდერლანდმა", რომელიც სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში გამოდის, რასობრივი ამბებიც არ დაივიწყა: ის, ვინც მთვარეზე გაფრინდება და იქიდან გაზეთ „დე ვიდერლანდისათვის" ინფორმაციას გამოგზავნის, ბევრ ფულს მიიღებსო, — აცხადებდა გაზეთი. — მხოლოდ იგი აუცილებლად თეთრი რასის ადამიანი უნდა იყოსო.

ასეთია თანამედროვე მთვარეულთა ავადმყოფური გამოვლინება, რომელსაც დედამიწაზე კაპიტალისტურ სისტემაში აქვს ფესვები.

**გ. კავკასიძე.**





ალაბამის შტატის (ამერიკის შეერთებული შტატები) ერთ რაიონში, სადაც ცხოვრობს 5.425 ზანგი, რომლებსაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, რეგისტრაციაში გატარება შეძლო მხოლოდ ექვსმა. მეორე რაიონში, სადაც 6.512 ზანგი ამომრჩეველია, არც ერთი არ შეიტანეს სიაში. იგივე შეიძლება ითქვას მისისიპის, ჯორჯიის და სამხრეთის სხვა შტატების შესახებ.

• • •

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში იანვრის პირველ ნახევარში 70 ახალგაზრდა დააპატიმრეს „კომუნისტებისადმი თანაგრძნობისათვის". ცნობილი გახდა, რომ დაპატიმრებულნი სტუდენტები და ახალგაზრდა მუშები არიან, რომლებიც შარშან ზაფხულს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალში იღებდნენ მონაწილეობას.

• • •

კანადის შრომის სამინისტროსა და კანადის სტატისტიკური ბიუროს ოფიციალური მონაცემებით 1957 წლის ოქტომბერში უმუშევართა რიცხვი წინა წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა და 208 ათას კაცს მიაღწია. უმუშევრებს ბინიდან გამოსახლება ელით.

## ფრანგი კოლონიზატორების ნაკვალევზე...

ქალიშვილი შავი, დიდრონი თვალებით სურათიდან ნაღვლიან მზერას არ გაშორებს. ამ მზერაში მორცხვობა და სიამაყე შერწყმულა... ასეთი ფოტოსურათი გამოაქვეყნეს ერთ დღეს ფრანგულმა გაზეთებმა. მაგრამ ეს არც დასავლეთის მორიგი კინოვარსკვლავის პორტრეტი იყო, არც კაპიტალისტური სამყაროს „სილამაზის დედოფლისა".

ამ პორტრეტზე 22 წლის ალჟირელი ქალიშვილის სახეა აღბეჭდილი. ბრძოლის ველზე დაჭრილი ჯამილა ბუხირედი გასულ წელს ხელთ იგდეს ფრანგმა კოლონიზატორებმა და დილეგში გამოამწყვდიეს. წამებამ ვერ გატეხა ალჟირელი პატრიოტის ნებისყოფა. იგი წარბშეუხრელად იტანდა წამებას. ჯამილას კოლონიზატორთა „მართლმსაჯულებამ" სიკვდილი მიუსაჯა.

დილეგში გამომწყვდეული ქალიშვილის ბედი მისი ქვეყნის ბედსა ჰგავს. იგი ხომ იმ ქვეყანაში დაიბადა, სადაც ფრანგი ჯარისკაცის ნაკვალევზე ბალახი არ ამოდის, სადაც უდანაშაულო ალჟირელი ხალხის სისხლისა და ცრემლის გუბეები დგას.

ამას წინათ ფრანგულმა ჟურნალმა „ტან მოდერნმა" გამოაქვეყნა ფრანგი ჯარისკაცის ჟაკ პიუშოს დღიურები.

დღიურების გაცნობისას მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ყბადაღებული „დასავლეთის დემოკრატია", რომლის მიხედვით ფრანგი ჯარისკაცი არის „უნივერსალი" — იგი არა მარტო მებრძოლია, არამედ „აღმზრდელი", „სანიტარი", „გზების მშენებელი", „ყამირი მიწების დამპყრობი" და „განმანათლებლის" როლშიც კი გვევლინება, იგი ყველგან და ყოველთვის არის „ჯარისკაცი — მოქალაქე".

ფრანგი ჯარისკაცის ჟაკ პიუშოს დღიურები წარმოადგენს ალჟირში საფრანგეთის არმიის ერთი წლის „მოღვაწეობის" საუკეთესო აღნუსხვას.

ფრანგი „განმანათლებლები" მკვლელის პროფესიასაც ფლობენ. ალჟირელს მკვლელი უბრძანებს:

— დაიჩოქე!

თუ ალჟირელი უარს განაცხადებს, ზურგში ესვრიან, იგი ეცემა მუხლებზე და ყელს ხელით იფარავს. მას ძალით აცილებენ ყელიდან ხელს და სამართებლით გამოღადრავენ.

მშვიდობიანი ორი სოფელი, რომელთა მახლობლად აჯანყებულები იყვნენ დაბანაკებულნი, ინტერვენტებმა აღგავეს პირისაგან მიწისა. სისხლით დამთვრალი ფრანგი ჯარისკაცი დაწაფებით სვამს შამპანურს მოკლული ალჟირელის თავის ქალათი და საკუთარი ხელით კლავს ალჟირელ დედას, რომელსაც ჩვილი მიუკრავს მკერდზე.



ჯამილა ბუხირედი

— ერთ-ერთი ოპერაციის დროს ჩვენ წავაწყდით მომთაბარე ალჟირელთა ბანაკს. კაპიტანმა გვიბრძანა დაგვეწვა მათი კარვები და გაგვენადგურებინა სურსათ-სანოვაგის მარაგი; ყველა მამაკაცი დავხვრიტეთ... ამ ოპერაციას რომ ვიგონებ, — წერს ჟაკ პიუშო, — ჩემს მეხსიერებაში აღდგება ქალებისა და ბავშვების სასოწარკვეთილი სახეები. ისინი ეყარნენ უდაბნოში თავგაჩეხილ გვამებსა და მომთაბარეთა კარვების დაფერფლილ გროვებს შორის.

— გაუჭეჭყეთ მას თავი... არა, არ ღირს ხეწრის გასვრა, ჩამოაგდეთ საკაციდან, — დასჭყივლა ფრანგმა კაპიტანმა და, მართლაც, დაჭრილი დაანარცხეს მიწაზე. ტყვიით შუბლი გაუხვრიტეს...

მრავალი ასეთი „მარგალიტის" ამოწერა შეიძლება ჯარისკაც ჟაკ პიუშოს დღიურიდან, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

აი საქმეები, რომლებიც ამხილებენ ფრანგ კოლონიზატორთა ბარბაროსობას მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარე ალჟირელი ხალხის მიმართ!

ასეთი ვაჟბატონების წინააღმდეგ იბრძოდა 22 წლის ალჟირელი პატრიოტი ქალიშვილი ჯამილა ბუხირედი. მისი მსგავსი პატრიოტი უამრავია, თუნდაც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის მონაწილე — ალჟირელი სტუდენტი მოჰამედ კემისტი და სხვები. მათ თანაუგრძნობენ მთელი ალჟირელი ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა და თვით მშვიდობისმოყვარე ფრანგებიც.

**ბ. ბახტურიძე.**



ალჟირელი პატრიოტის წამება. ყელზე უჩვეულოდ მობმული თოკი ახრჩობს მას 12 საათის ტანჯვის შემდეგ.

## კაპიტალის მონა ქალი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ „ადამიანთა მოდგმის ნახევარი — ქალები კაპიტალიზმის დროს ორმაგად არიან დაჩაგრულნი".

თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომებსა და საერთაშორისო შეკრებებზე კაპიტალიზმის აპოლოგეტებს უყვართ ლაპარაკი ქალთა თანასწორუფლებიანობისა და მათი დემოკრატიული უფლებების შესახებ, მაგრამ ლიტონი სიტყვა საქმის ვითარებას როდი ცვლის. კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალი კვლავ რჩება კაპიტალის მონად და კვლავ ორმაგ ჩაგვრას განიცდის.

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის ირანში, შვეიცარიაში, კოლუმბიაში ქალებს საარჩევნო უფლება არა აქვთ. მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში კი ქალებს თუმცა ფორმალურად მინიჭებული აქვთ საარჩევნო უფლება, ფაქტიურად არ ეძლევათ ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა.

ცნობილია, რომ სსრ კავშირში უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია 348 ქალი, რაც უმაღლესი საბჭოს მთელი შემადგენლობის 26 პროცენტს შეადგენს. 2.335 ქალი არჩეულია სახალხო მოსამართლედ, ხოლო 233.899 — სახალხო მსაჯულად. ინგლისის პარლამენტში კი 1953 წელს ქალთა რაოდენობა დეპუტატების საერთო რიცხვის მხოლოდ 2,7 პროცენტს შეადგენდა, ბელგიაში — 3,3 პროცენტს.

კაპიტალისტური ქვეყნების დიდ უმრავლესობაში მეტად დაბალია ქალის შრომის ანაზღაურება. შვეციის საწარმოებში ქალების გამომუშავება მამაკაცების გამომუშავების დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს, იაპონიაში კი 43,8 პროცენტს.

ქალის ხვედრი საერთოდ მძიმეა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ იგი აუტანელია კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ირანში, ალჟირში, კამერუნში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ქალების 80-90 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია.

კაპიტალის მონა ქალები სულ უფრო გაბედულად იმაღლებენ ხმას დემოკრატიულ უფლებათა მოპოვებისა და განმტკიცებისათვის, იბრძვიან უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალები არ ივიწყებენ ესპანეთის კომუნისტური პარტიის ბელადის დოლორეს იბარურის სიტყვებს: „უმჯობესია მოკვდე ფეხზე მდგომი, ვიდრე ცოცხლობდე დაჩოქილი". ქალებს არა სურთ ზიდონ მონობის უღელი. ისინი აძლიერებენ ბრძოლას ნამდვილ, დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა მოპოვებისათვის.

**ა. რჩეულიშვილი.**

## ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისი

ბურჟუაზიული დემოკრატია, როგორც კაპიტალისტთა კლასობრივი ბატონობის სპეციფიკური ფორმა, წარმოიშვა ბურჟუაზიული რევოლუციების ქარცეცხლში, ბურჟუაზიის მხრივ ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შედეგად.

ძველ პოლიტიკურ ფორმებთან შედარებით, კერძოდ, ფეოდალურ წყობილებასთან შედარებით, ბურჟუაზიული დემოკრატია პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. მაგრამ იგი თავიდანვე კლასობრივად შეზღუდული იყო. მის ამოცანას შეადგენდა კაპიტალისტური კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის კაპიტალისტური ფორმის განმტკიცება, მოსახლეობის უმცირესობის მიერ მოსახლეობის უმრავლესობის მიმართ პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის უზრუნველყოფა. ამ ამოცანის განსახორციელებლად ბურჟუაზიული დემოკრატია ემყარება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფორმებს, როგორიც არის ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, კანონის წინაშე მოქალაქეთა ფორმალური თანასწორობა, პიროვნების უფლებებისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა გამოცხადება.

მაგალითად, ფორმალური თანასწორობის პრინციპის აღიარება ბურჟუაზიას სჭირდებოდა კერძო მწარმოებლობისა და თავისუფალი კონკურენციის განვითარებისათვის, რაც საბოლოო ანგარიშით ნიშნავდა და ნიშნავს „თანასწორობას" ექსპლოატატორსა და ექსპლოატირებულს შორის, მდიდარსა და ღარიბს შორის, მაძღარსა და მშიერს შორის. ასევე ითქმის პიროვნების უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების შესახებ, რაც ფაქტიურად ნიშნავს კაპიტალისტის პიროვნების უფლებების დაცვას, ხოლო მშრომელი მასების მიერ ყოველგვარი თავისუფლების სრულად გამოყენების შეუძლებლობას სათანადო მატერიალური ბაზის არარსებობის გამო.

რაც შეეხება ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, ე. ი. მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას, იგი არასოდეს არ ყოფილა „სახალხო წარმომადგენლობის" ორგანო, როგორც ამას ბურჟუაზიული დემოკრატიის დამქაშები ამტკიცებენ. პარლამენტი თავიდანვე გამოხატავდა არა ხალხის, ერის ინტერესებსა და ნებას, არამედ საზოგადოების წევრთა უმცირესობის — კაპიტალისტების ნება-სურვილს. ამისათვის კაპიტალისტები უზრუნველყოფენ პარლამენტების შემადგენლობაში თავიანთი ერთგული მსახურების არჩევას და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარ საკითხებს თვითონ წყვეტენ, ხოლო პარლამენტები უყოყმანოდ ამტკიცებენ მათთვის სასურველ კანონებს. „ნამდვილი კლასობრივი ბატონობა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — პარლამენტის გარეთ იყო და არის კიდევაც".

მაგრამ იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც მწვავდება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, ფართოვდება ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იზრდება მშრომელი მასების წინააღმდეგობა და მათი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიების გავლენა, — ბურჟუაზია უარს ამბობს დემოკრატიის ისედაც შეკვეცილ და შეზღუდულ ფორმებზე, რომლებიც მას საკმარისად აღარ მიაჩნია საკუთარი ბატონობის უზრუნველყოფისათვის.

იმპერიალიზმის დროს ადგილი აქვს აშკარა შემობრუნებას ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პოლიტიკური რეაქციისაკენ, რაც დაკავშირებულია დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა საბოლოო ლიკვიდაციასთან, თვითნებობისა და უკანონობის ზრდასთან, მსხვილი მონოპოლიებისადმი სახელმწიფო აპარატის დამორჩილებასთან და აგრესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან. 1957 წლის ნოემბერში სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვში გამართული თათბირის დეკლარაციაში იმპერიალისტების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების პოლიტიკის შესახებ აღნიშნულია: „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" საფარით ისინი ისწრაფვიან თავიანთ ბატონობას დაუმორჩილონ სულ უფრო მეტი ქვეყანა, იძლევიან ბიძგს დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობისათვის, ემუქრებიან განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობას, სურთ ახალი ფორმით დაადგან კოლონიური უღელი განთავისუფლებულ ხალხებს და ეწევიან სისტემატურ მტრულ, ძირგამომთხრელ საქმიანობას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ."

> **კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები ახლა ისეთ პირობებში ცხოვრობენ, რომლებიც სულ უფრო ძლიერ აიძულებენ მათ დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია სოციალიზმი.**
>
> სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციიდან.

სოციალისტური წყობილების „არადემოკრატიულობის" ერთ-ერთ ყველაზე აშკარა მაჩვენებლად იმპერიალიზმის სოციოლოგებსა და პოლიტიკოსებს მიაჩნიათ ჩვენს ქვეყანაში ერთი პარტიის არსებობა. ამასთან დაკავშირებით იმპერიალისტებს უნდა მოვაგონოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში კომუნისტური პარტიის გარდა ჩვენში არსებობდა და მთავრობაში მონაწილეობდა მემარცხენე ესერების პარტიაც, რომელიც შემდგომში დაადგა კონტრრევოლუციის გზას და საბოლოოდ დაკარგა გავლენა გლეხობის იმ ნაწილშიც, რომელიც მას მხარს უჭერდა. ხოლო ერთადერთ პარტიას, რომელიც თანმიმდევრულად და ბოლომდე იცავს მშრომელთა ინტერესებს, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც მთელი ხალხის მხარდაჭერითა და სიყვარულით სარგებლობს.

ამრიგად, მთავარია არა პარტიების რაოდენობა, არამედ ამ პარტიების საქმიანობის შინაარსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი პარტია — დემოკრატიული პარტია და რესპუბლიკური პარტია — ცვლის ხოლმე ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში, მაგრამ ისინი ორივენი იმპერიალისტური მონოპოლიების ინტერესებს იცავენ.

თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პარლამენტების უმრავლესობა ორი პალატისაგან შედგება. ამასთან, როგორც წესი, ეს პალატები არათანასწორუფლებიანი არიან და ზედა პალატა ყოველთვის უფრო რეაქციულია. მისი მიზანი და დანიშნულება ის არის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ქვედა პალატის შედარებით უფრო დემოკრატიულ, ლიბერალურ ტენდენციებს და ჩაშალოს ბურჟუაზიისათვის არასასურველი კანონპროექტის მიღება.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ფორმალურად გამოცხადებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება, მაგრამ უამრავი შეზღუდვის, ე. წ. ცენზების მეშვეობით ეს უფლება მშრომელებისათვის ფიქციას წარმოადგენს. მთელ რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ქალების საარჩევნო უფლება (მაგალითად, ირანში, ესპანეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, შვეიცარიაში, მექსიკაში და ა. შ.), ზოგან კი საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ სამხედრო მოსამსახურენი იმ მოტივით, რომ ჯარი „პოლიტიკის გარეთ" უნდა იდგესო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს 50-მდე სხვადასხვა ცენზი, რომელთა მეშვეობით მრავალი მოქალაქე ფაქტიურად კარგავს უფლებას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ან კიდევ რომელ დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც 15 მილიონი შავკანიანი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჩამოშორებულია არჩევნებს ზოგიერთ შტატში — უშუალოდ საარჩევნო კანონით, ზოგან კი — ტერორითა და დაშინებით.

საყოველთაო საარჩევნო უფლების გაყალბების გარდა, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უზრუნველყოფილი არ არის არც თანასწორი და პირდაპირი არჩევნები და არც ფარული კენჭისყრა.

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველ წრეებს აშკარა მოსყიდვისა და ტერორის ვითარებაში, პრესისა და რადიოს გამოყენებით შესაძლებლობა აქვთ გაიყვანონ პარლამენტების წევრებად მათთვის სასურველი კანდიდატები. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში არჩეული არ არის მრეწველობის არც ერთი მუშა, არც ერთი მშრომელი ფერმერი. ამერიკის საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურმა ვ. რ. ჰერსტმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის უმრავლესობას მუშათა კლასი შეადგენს და რომ სწორედ იგია მმართველი კლასი(?!). მაშ როგორ ვერ მოახერხა „მმართველმა კლასმა" თუნდაც ერთი წარმომადგენლის გაყვანა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში? საქმეც ის არის, რომ სწორედ მმართველმა კლასმა გაიყვანა თავისი წარმომადგენლები კონგრესში, მაგრამ ეს მმართველი კლასი მუშები კი არა, კაპიტალისტები არიან, რომელთა ხელშია მთელი სახელმწიფო აპარატი — არმია, პოლიცია, დაზვერვის ორგანოები, სასამართლო და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ მშრომელთა შეგნების ამაღლებისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენის ზრდის პირობებში, მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები, კომუნისტური პარტიები მაინც ახერხებენ გაიყვანონ პარლამენტებში თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც ამხილებენ ბურჟუაზიული მთავრობების ანტიხალხურ პოლიტიკას. ამიტომ ყოველგვარი შემთხვევითობისაგან თავის დაზღვევის მიზნით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ცდილობენ შესცვალონ საარჩევნო სისტემა.

ბურჟუაზიული დემოკრატია კრიზისს განიცდის. კაპიტალისტური ქვეყნების მმართველ წრეებს აღარ ძალუძთ ძველებურად მართონ, ისინი იძულებული არიან უბადრუკი ბურჟუაზიული დემოკრატიის ნარჩენებიც გადაყარონ.

დოც. **ზ. ინწკირველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვალთმაქცური, ცრუ და ყალბი

მალაიაში კაუჩუკის კომპანიების 320 ათასი მუშა ძალიან მცირე ხელფასს იღებს, დღეში 4-დან 8 შილინგამდე. მუშა ქალები მამაკაცების გამომუშავების მხოლოდ ორ მესამედს იღებენ, ხოლო ახალგაზრდა მუშები — ხშირად ნახევარზე ნაკლებს.

* * *

ესპანეთში თავისუფალი აზროვნების ყოველგვარ გამოვლინებას მკაცრად სდევნიან. განსაკუთრებით მკაცრია ფრანკისტული რეჟიმი ბასკონიაში, ასტურიაში, კატალონიაში — რევოლუციური ტრადიციებით მდიდარ სამრეწველო რაიონებში მაგალითად, ბილბაოში თავმოყრილია ბასკონიის მეტი წილი მეტალურგიული ქარხნები. ქუჩებში დღედაღამ დადიან თავით ფეხთამდე შეიარაღებული პოლიციის პატრულები, ქარხნებს ჟანდარმერიის რაზმები იცავენ.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფად იზრდება უმუშევრობა. 1956 წლის ნოემბრიდან 1957 წლის ნოემბრამდე უმუშევართა რიცხვი ერთი მესამედით გაიზარდა. უკანასკნელი ოფიციალური მონაცემებით უმუშევართა საერთო რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში დეკემბრის შუა რიცხვებში დაახლოებით 3 მილიონ 400 ათას კაცს შეადგენდა. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მონაცემებით იანვრის შუა რიცხვებში უმუშევართა რაოდენობამ 4 მილიონს გადააჭარბა.

**სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებამ მკვეთრად დააჩქარა იმპერიალიზმის დაშლის პროცესი. იმპერიალიზმმა დაკარგა ყოფილი ბატონობა კაცობრიობის მეტ ნაწილზე...**

**თუ სოციალიზმი აღმავლობის გზაზეა, იმპერიალიზმი დაცემისაკენ მიდის.**

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციიდან.

ნიუ-იორკის ნავსადგურის მისადგომთან დგას თავისუფლების ქანდაკება, რომლის კვარცხლბეკზეც გამოყვანილია სიტყვები: „შეინარჩუნეთ თქვენი სიდიადე, უძველესო ქვეყნებო... მე კი მომეცით ისინი, ვინც ღარიბია, ვისაც ძალა გამოელია, ტანჯულნი, რომელთაც თავისუფლად ამოსუნთქვა სწყურიათ. ისინი ტოვებენ თქვენს აყვავებულ ნაპირებს. გამომიგზავნეთ ეს უსახლკარო, ქარიშხლით განაწამები ადამიანები, მე ჩემი ჩირაღდნით გავუნათებ მათ ოქროს კარს“.

მართლაც შესანიშნავი სიტყვებია: „ამერიკა ტანჯულთა, ღარიბთა თავშესაფარია“ — ასეთია აზრი ამ წარწერისა.

მაგრამ რა ბედენაა ქვაზე ამოკვეთილი მაღალფარდოვანი წარწერა, ლიტონი სიტყვა, როცა საქმე საწინააღმდეგოდ მეტყველებს, და თვით ეს მრავლისმეტყველი ქანდაკებაც ხომ ზურგით დგას ამერიკასთან, გეგონებათ „თავისუფლებას“ ამერიკისათვის სიმბოლიურად ზურგი შეუქცევიაო.

ან როგორ შევათავსოთ თავისუფლების მქადაგებელი ეს სიტყვები ამერიკულ სინამდვილესთან, რეაქციის თარეშთან, რაც დღითიდღე სულ უფრო მზარდ მასშტაბებს იღებს დღევანდელ ამერიკაში.

## „ზეწრიანი ბრიყვები“

ამ უკანასკნელ ხანს პრესა, ტელეგრაფი, რადიო ამერიკის შეერთებული შტატებიდან სულ უფრო ხშირად იძლევა შემაძრწუნებელ ცნობებს „ლინჩის სასამართლოს“, სისხლიანი დარბევების, უდანაშაულო ადამიანების აწიოკების შესახებ, და ყოველივე ეს „უჩინარი იმპერიის ქვეშევრდომთა“, კუ-კლუს-კლანის რაინდთა საქმეა.

კუ-კლუს-კლანი აშკარად ფაშისტური, ტერორისტული ორგანიზაციაა. იგი არც ფარავს თავის მიზნებს — ებრძოლოს ყოველივე პროგრესულს, დემოკრატიულს, ამერიკელებს შთააგონოს სიძულვილი ყველა არაამერიკული წარმოშობის ადამიანებისადმი.

კუ-კლუს-კლანის ორგანიზაცია განსაკუთრებით გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ფაშიზაციასთან დაკავშირებით. ეს ბანდები ყველგან აშკარად იკრიბებიან, მღერიან თავიანთ ჰიმნებს, სწვავენ ხის ჯვრებს. მათი ხელმძღვანელები ცინიკურად აცხადებენ, რომ კუ-კლუს-კლანი „პატრიოტული ორგანიზაციაა, რომელიც იცავს ამერიკანიზმს და თეთრი რასის სიწმიდეს“, რომ საჭიროა „გავუსწორდეთ ზანგებს, ებრაელებს, კომუნისტებს და უცხოური წარმოშობის ამერიკელებსო“.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კუკლუსკლანელები ფართო მხარდაჭერით სარგებლობენ ამერიკის მმართველ წრეებში. ამერიკელი მაგნატები უხვად აფინანსებენ ღვირახსნილ კაცთმოძულეებს.

მაგრამ გულხელდაკრეფით როდი შეჰყურებს კუკლუსკლანელთა ძალადობას ამერიკის შეერთებული შტატების ზანგი და ინდიელი მოსახლეობა, მთელი პროგრესული ამერიკა.



კიდევ ერთი მსხვერპლი

★

მოვლენები ცხადყოფენ, რომ როდესაც არათეთრკანიანი მოსახლეობა, სხვა პროგრესულ ადამიანებთან ერთად, ორგანიზებულად მოქმედებს, იგი გამარჯვებული გამოდის „ზეწრიანი ბრიყვების“ (ასე უწოდებს კუკლუსკლანელებს ამერიკელი ხალხი) წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე მოხდა ამა წლის 13 იანვარსაც ჩრდილოეთ კაროლინის შტატის რობსონის ოლქში, როდესაც ინდიელებმა და მათმა თანამგრძნობმა მოქალაქეებმა გარეკეს მომხდური კუკლუსკლანელები.

ზანგი და ინდიელი, ამერიკის ყველა უბრალო მოქალაქე დღითიდღე აძლიერებს ბრძოლას თავისი უფლებებისათვის, მტკიცედ მოითხოვს ბოლო მოეღოს ეროვნულ უმცირესობათა დევნას, სამარცხვინო სეგრეგაციას.

**რ. ღოლონაძე.**

# არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც ერთი შეხედვით საკმაოდ უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ავიღოთ თუნდაც გაცხარებული წინასაარჩევნო ბრძოლა, რაც ორი პარტიის — რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა შორის წარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და კონგრესის წევრთა არჩევნების პერიოდში. აჟიოტაჟი, რომელიც არჩევნების დროს იწყება და მიზნად ისახავს ამერიკელი ხალხის მოტყუებას, მთავრდება არჩევნების მეორე დღესვე. უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანის შეჩერებასთან ერთად ხმაურს წყვეტენ არჩეული პირებიც, იწყება მშრომელთა საარსებო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ორი პარტიის შეხმატკბილებული თანამშრომლობა. დეპუტატთა წინასაარჩევნო დაპირებებიდან მოგონებაღა რჩება.

უკანასკნელი არჩევნების დროს რესპუბლიკური პარტიის ლიდერები განსაკუთრებით გულუხვობდნენ, არწმუნებდნენ რიგით ამერიკელებს, რომ უზრუნველყოფდნენ მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. რესპუბლიკური პარტიის მმართველობის 6 წლის პრაქტიკიდან ჩანს, თუ რამდენად მოჩვენებითი იყო ეს განცხადებები:

მაშინ როცა სახალხო განათლება, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, საბინაო მშენებლობა თავმინებებულია, ამერიკის მთავრობა კვლავ დიდ სახსრებს ხარჯავს გამალებული შეიარაღებისათვის, აგრესიული საფინანსო პოლიტიკის დაფინანსებისათვის, თავისი სატელიტების „სამხედრო დახმარებისათვის“.

რამდენიმე ხნის წინათ კონგრესში დიდი დავა ატყდა საავადმყოფოთა მშენებლობისათვის თანხების გამოყოფის საკითხზე. გაფთრებული ბრძოლის შემდეგ 35 მილიონი დოლარის ნაცვლად ამ მიზნით გამოყოფილ იქნა მხოლოდ 21 მილიონი დოლარი. კონგრესმა უარი თქვა გაედიდებინა ასიგნობანი შრომისუნარდაკარგული მუშების დასახმარებლად. ჩაშალეს იაფფასიანი სახლების მშენებლობის გეგმა. კანონი დამტკიცდა ისეთი სახით, რომელიც დიდ მოგებას აძლევს სამშენებლო ფირმებს. კონგრესმა უარი თქვა გამოეყო შტატებისათვის 500 მილიონი დოლარი ასიგნობანი ახალი სკოლების მშენებლობის მიზნით. კონგრესის მიერ მიღებული კანონი ბინის ქირაზე კონტროლის გაუქმების შესახებ მიმართულია მშრომელი მოსახლეობის წინააღმდეგ.

კონგრესის იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს ამერიკული ეკონომიური სისტემის სიმახინჯეს, ეკუთვნის ფერმერთა დაფინანსების კანონის შეცვლა. ამ კანონის შესაბამისად ფერმერთა დაფინანსება საგრძნობლად შემცირდა, რამაც მთელ რიგ მეურნეობათა გაღატაკება გამოიწვია.

ამერიკის იმპერიალიზმი ამერიკელი ხალხის შეკვეცილ პოლიტიკურ უფლებებსაც უტევს. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს კონგრესის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის აკრძალვა, მშრომელთა პროფკავშირული უფლებების შეზღუდვა, პოლიტიკური ასპარეზიდან ყოველი ორგანიზებული ოპოზიციის გაძევების პოლიტიკა.



დაპირებები არჩევნებამდე



ასე ასრულებს იგი დანაპირებს

★

მოჩვენებითობა და სიცრუე — აი „სამაგალითო ამერიკული დემოკრატიის“ ძირითადი ნიშანი.

**ღ. კაციტაძე.**

# ლუი არმსტრონგი ბრალს სდებს...

ზანგი მუსიკოსი ლუი არმსტრონგი ამერიკის შეერთებული შტატების ფართო მასებში პოპულარობით სარგებლობს. ამერიკელი ოფიციალური ხელისუფალნი ხელოვანის ამ პოპულარობას თავიანთი ანგარებითი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ. მას, როგორც „ამერიკული ჯაზის ელჩს“, სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველთვის სიამოვნებით გზავნიდა საზღვარგარეთ საგასტროლო ტურნეებში, რომელთა ერთადერთი მიზანი იყო იმის ამაო მტკიცება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგები თითქოს არც ისე ცუდად ცხოვრობენ.

ყბადაღებული „ამერიკის ხმის“ საღამოს მუსიკალურ გადაცემებშიც როგორ იქნებოდა, რომ პათეტიკური შესავლის შემდეგ ლუი არმსტრონგის შესრულებით ეთერში რაიმე არ გადაეცათ!

მაგრამ უეცრად „ამერიკის ხმის“ მუსიკალურ გადაცემებში გაქრა ლუი არმსტრონგის საყვირის მომხიბლავი ტემბრი, ხოლო რეაქციულმა ამერიკულმა ჟურნალ-გაზეთებმა ერთსულოვნად და ხმაშეწყობილად ცილისმწამებლური ღმუილი ატეხეს ხელოვანის წინააღმდეგ.

ნუ იტყვით, არმსტრონგს „საბრალოდ“, თურმე არა მარტო შესანიშნავი დაკვრა სცოდნია, არამედ... შესანიშნავი ლაპარაკიც!

ლიტლ-როკში უდანაშაულო ზანგ მოსწავლეებზე ამერიკელი რასისტების სამარცხვინო თავდასხმამ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი დიდად აღელვა. საკვირველი არ არის, რომ ამან განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ზანგებზე, მათ შორის ლუი არმსტრონგზე. ღრმად აღელვებულმა ზანგმა მუსიკოსმა ამერიკულ გაზეთ „გრანდფორკს ჰერალდის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „მთავრობა ეშმაკმაც წაიღოს, თუ ჩემს თანამემამულეებს სამხრეთში ასე ეპყრობიან... მე მგონი საქმე იქამდე მივიდა, რომ ფერადკანიანებს საზოგადოდ არა აქვთ სამშობლო!“ ამავე დროს მან უარი თქვა წავიდეს საბჭოთა კავშირში იმ ოფიციალური ამერიკული დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ არის მოწყობილი. „იქ რომ შემეკითხონ, თუ რა ხდება ჩემს ქვეყანაში, რა შემიძლია ვუთხრა მათ!.. ის, რაც არკანზასში (შტატი, რომელშიც შედის ქალაქი ლიტლ-როკი) მოხდა, უფლებას არ მაძლევს წავიდე ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლად“. ბოლოს მან გულწრფელი სურვილი გამოთქვა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე დიდი სიამოვნებით ესტუმრება საბჭოთა კავშირს, მაგრამ არა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენელი, არამედ როგორც ზანგი მუსიკოსი.



სახელგანთქმული ზანგი მუსიკოსის ამ გაბედულმა განცხადებამ დიდი აურზაური გამოიწვია. სენსაციის მოყვარული რეპორტიორებიც კი შეშინდნენ და ლუი არმსტრონგს ყოველი შემთხვევისათვის კიდევ ერთხელ დაბეჯითებით შეეკითხნენ: ხომ არ უარყოფს იგი თავის პირვანდელ განცხადებას? მაშინ ლუი არმსტრონგმა რეპორტიორების ჩანაწერ ინტერვიუზე საკუთარი ხელით წააწერა: „აქედან არაფერი არ ამოაგდოთ. ეს ზუსტად ის არის, რაც მე ვთქვი და რასაც ვამბობ ახლა“.

ამის შემდეგ ამერიკელმა რასისტებმა დიპლომატიურ ტრიუკს მიმართეს და ლუი არმსტრონგის წინააღმდეგ ტელევიზიაში გამოიყვანეს მათ მიერ მოსყიდული არმსტრონგის თანამემამულე ზანგი ადამ კლეიტონ პოუელი, რომელმაც სხვა რომ ვერაფერი მოიგონა, ზანგში შესულ მუსიკოსს მორალის წაკითხვა დაუწყო.

მაგრამ, რენეგატი ზანგის საწინააღმდეგოდ, ლუი არმსტრონგის სამართლიანმა აღშფოთებამ ზანგებში ფართო გამოძახილი ჰპოვა. სწორედ ამის გამო იყო, რომ ნიუ-იორკის ზანგების გაზეთი „ამსტერდამ ნიუსი“ მოწინავე სტატიაში მოსწრებულად შენიშნავდა. „საყვირზე შემსრულებელმა ლუი არმსტრონგმა თქვა ის, რაზეც ბევრი ზანგი ჩვენს ქვეყანაში ფიქრობს და რისი თქმაც დიდი ხანია უნდა. შეიძლება ბევრი არ იყოს ისე გულახდილი და ზუსტი, როგორც ლუი, მაგრამ ახლა, როცა მან აზრი გამოთქვა, შეგვიძლია გულახდილი ვიყოთ და ვთქვათ, რომ ის ძალიან კარგად მოიქცა. მან განაზოგადა ყველაფერი ის, რასაც ზანგები ფიქრობდნენ მთავრობის დამოკიდებულებაზე ჩვენდამი და ჩვენი შვილებისადმი“.

მარტო ეს ფაქტიც საკმარისია ამერიკის შეერთებული შტატების „ნაქები დემოკრატიის“ ნამდვილი სახის ნათელსაყოფად.

**დ. გველესიანი.**

# კაპიტალიზმის ბუნებრივი თანამგზავრები

ვის არ გააოცებს მიჩიგანის (ამერიკის ერთ-ერთი შტატი) პარიკმახერის გამოგონება — თმის დაყენების ახალი მოდა — „თანამგზავრი“. იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ ლანსინგიდან აღტაცებით იტყობინება ამ მოდის წარმატების შესახებ და რეკლამას უკეთებს მას. აქოჩრილ თმას „თანამგზავრის“ ოთხდიუიმიანი მოდელი ამშვენებს... ამას წინათ პარიკმახერთა ყრილობამ „გამომგონებელი“ დააჯილდოვა.

ერთ-ერთმა საქმოსანმა [illegible] შტატის ქალაქ იურიკაში მოამზადა სპეციალური სასმელი, გამაგრილებელი წყალი, — რომელსაც „თანამგზავრი“ უწოდა. ავტორის მტკიცებით, რამდენჯერმე მიღებული ასეთი სასმელი მოქალაქეს გამოაცემინებს თანამგზავრის სიგნალებს: ბიპ! ბიპ!

ბურჟუაზიული გაზეთები ბევრს წერენ და ხმაურობენ ტექნიკის საწაულზე, ადამიანის ხელით შექმნილ ხელოვნურ თანამგზავრებზე, მაგრამ გულმოდგინედ და შეგნებულად ცდილობენ არაფერი თქვან კაპიტალისტური სისტემის ბუნებრივი თანამგზავრების შესახებ.

კაპიტალიზმის პირველი მუდმივი ბუნებრივი თანამგზავრი — სამრეწველო კრიზისი ჰორიზონტზე 1825 წელს გამოჩნდა. მან დედამიწის მრავალი ქვეყანა მოიცვა. ამ დაუპატიჟებელ სტუმარს კაპიტალისტებმა ნამდვილი ომი გამოუცხადეს.

აიშალა „მეცნიერთა“ ბანაკი, კრიზისების წინააღმდეგ საბრძოლველად მეურნეობის დაგეგმვა გადაწყვიტეს. მაგრამ ამან შედეგი ვერ მოიტანა, რადგან კაპიტალისტური მეურნეობის დაგეგმვა ისევე შეუძლებელია, როგორც იმის ცოდნა, თუ რა დაგესიზმრება. ეკონომიურმა კრიზისმა თავის მხრივ ახალი თანამგზავრი — უმუშევართა არმია გააჩინა.

მას შემდეგ კაპიტალიზმის სამყაროს არ სცილდება ეკონომიური კრიზისები, უმუშევრობა, ომი. კაპიტალიზმის უნუგეშო მდგომარეობა კიდევ უფრო გააძლიერა სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შექმნამ.

—როცა კაპიტალისტებს საიმედო თანამგზავრი — „კოლონიური ჩაგვრა“ აუფეთქდათ, კაპიტალის ბატონობის სფერო კიდევ უფრო შევიწროვდა და შეიკვეცა.

ამ „აფეთქებაზე“ არანაკლებ იმოქმედა სოციალისტური ქვეყნების ძლიერების ზრდამ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ჯონსტონმა მწუხარებით განაცხადა: „რუსებმა გაუშვეს სამყაროში რაკეტი, მაგრამ ახლა ისინი ამზადებენ სხვა რაკეტების — ეკონომიური რაკეტების გაშვებას, რომლებიც კიდევ უფრო განაცვიფრებენ მსოფლიოს“.

კაპიტალისტებს ახლა ჩვენი „ეკონომიური რაკეტი“ აფრთხობთ და მის შესახებ დაიწყეს წერა, თუმცა კარგად იციან, რომ ბურჟუაზიულ ჟურნალისტთა ვერავითარი ტრიუკი ვერ შეაჩერებს მას. კარგად იციან ისიც, რომ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია.



**გ. ქრისტესაშვილი.**

# ამერიკელები ამერიკის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების ყბადაღებული დემოკრატიის მოსასხამქვეშ უამრავი უმსგავსოება იმალება, რომელსაც ჭეშმარიტ დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.

ომის გამჩაღებელთა პოლიტიკა, ადამიანის მიერ ადამიანის დაუნდობელი ექსპლოატაცია, რასობრივი დისკრიმინაცია, კუ-კლუს-კლანის და მისდაგვარი ორგანიზაციების თვითნებური თარეში, — აი, რას ებრძვის ამერიკის საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილი. არაერთ მოღვაწეს, რომელსაც გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო, აღუმაღლებია ხმა თავის ქვეყანაში რეაქციული აზროვნებისა თუ მოქმედების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, ცნობილი ამერიკელი დემოკრატი — პოეტი უოტ უიტმენი ამბობდა, რომ შეერთებული შტატების საზოგადოების ერთ-ერთი ცოდვა იყო „ფულის შოვნის პათოლოგიური სურვილი“, ხოლო თავის პუბლიცისტურ წერილში „პრეზიდენტის მე-18 არჩევნები“ იგი წერდა: „ყოველი თანამდებობა, პრეზიდენტის თანამდებობის ჩათვლით არის ყიდვა-გაყიდვის, წინასაარჩევნო ვაჭრობის საგანი, იგი სიძვის ასპარეზია და მეძავებით არის სავსე“.

ნახევარი საუკუნის შემდეგ დიდი ამერიკელი მწერალი ტეოდორ დრაიზერი თავის ნაწარმოებებში ულმობლად ამხილებდა ცხოვრების ამერიკულ წესს. მის ცნობილ რომანებში „ფინანსისტსა“ და „ტიტანში“ მკაფიოდ არის დახატული ამერიკელი ბიზნესმენების ცხოვრება, რომლებიც პირადი მიზნების მისაღწევად არავითარ ბოროტებას არ ერიდებიან. ხოლო თავისი საუკეთესო რომანის „ამერიკული ტრაგედიის“ ფურცლებზე გვიხატავს იმ გამოუვალ ჩიხს, რომელშიც მომწყვდეულია ამერიკის უბრალო ხალხი.

თომას მანი წინასიტყვაობაში, რომელიც მან წარუმძღვარა გორდონ კანის წიგნს „ჰოლივუდი სამსჯავროს წინაშე“, წერდა: „...როგორც გერმანული წარმოშობის ამერიკელი მოქალაქე მე მწუხარებით აღვნიშნავ, რომ ძალიან მეცნობა ზოგიერთი პოლიტიკური ტენდენცია. სულიერი სიღატაკე, პოლიტიკური ინკვიზიცია, კანონიერების თანდათანობითი მოსპობა — და ეს ყველაფერი „საგანგებო მდგომარეობის“ ნიშნით; სწორედ ასე დაიწყო ყველაფერი გერმანიაში. ამას მოჰყვა ფაშიზმი, ფაშიზმს — ომი“.




პროცესზე ბრალდებულმა — პროგრესულმა მწერალმა და სცენარისტმა დალტონ ტრამბომ კომისიას განუცხადა: „ჯენტლმენებმა კომისიიდან და მათმა მსგავსებმა უკვე შექმნეს შიშის ატმოსფერო ჩვენს დედაქალაქში, — ქალაქში, სადაც ლოიალობის შემოწმების საფარით ბუდე გაიკეთა ანტისემიტიზმმა; ქალაქში, სადაც პროფკავშირის არც ერთ ლიდერს საშუალება არა აქვს უშიშრად ილაპარაკოს თავისი ტელეფონით; ქალაქში, სადაც ძველ მეგობრებს ურჩევნიათ არ გამოეცნაურონ ერთმანეთს საზოგადოებრივ ადგილებში; ქალაქში, სადაც ადამიანები, რომლებიც თუნდაც ოდნავ გადაუხვევენ აზროვნების თქვენს მიერ დადგენილ სტანდარტს, გულახდილად მხოლოდ მანქანებში ან ღია ცის ქვეშ ბედავენ ლაპარაკს; თქვენ ეს ქალაქი დაამსგავსეთ რაიხსტაგის დაწვის წინადღეების დროინდელ ერთ ქალაქს. იმათ, ვისაც ახსოვს გერმანია 1932 წლის შემოდგომაზე, ბოლის სუნი სცემთ აქ, ამ დარბაზში!“

საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს ამერიკელ მწერალ ერსკინ კოლდუელს. კოლდუელს ტანჯავს თავისი ხალხის მძიმე ცხოვრება და იგი შეძლებისდაგვარად ებრძვის სოციალურ უკუღმართობას. როდესაც კოლდუელს ჰკითხეს, „რატომ წერთ ამდენს ღარიბებზე?“, მან უპასუხა: „ცხოვრების სიკეთით გაბედნიერებულ ადამიანთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმათი, ვისაც თავის მხრებზე გადაქვს ცხოვრების სიმძიმე. მაშინ, როცა ეს სოციალური პირობები წარსულის საქმე გახდება, მე შემეძლება ვუთხრა ჩემს თავს, რომ აღარ არის საჭირო წერა სიღარიბის გავლენის შესახებ ადამიანთა სულზე“.

ამერიკის პატიოსანი მწერლების შემოქმედება ნათელყოფს იმ ძალის ზრდასა და განმტკიცებას, რომელიც ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული.

**ლ. მდივანი.**

# ფელეტონი — ხელკეტიანი სამოთხე

დედამიწაზე სამოთხე არსებობს. ასე გვარწმუნებენ ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის გაზეთები. მის მისამართსაც კი გვიჩვენებენ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ბონი. ადენაუერის სამოთხეში, გვარწმუნებენ ისინი, მგლები მშვიდობიანი კრავების გვერდით ძოვენ, დიდი ხანია კლასობრივი მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება დადგაო. ახალ ვერმახტს ჰიტლერელი გენერლები და ოფიცრები სარდლობენ, მაგრამ სამაგიეროდ არმიაში გააუქმეს ის წესი, რომ უფროსთან შეხვედრისას ჯარისკაცს ქუსლი ქუსლზე უნდა მიეჯახუნებინა. და ამ ქუსლის რეფორმის გამო პროპაგანდისტები ერთხმად გაჰყვირიან დემოკრატიის ზეიმზე.

სამოთხის ცხოვრების დადგომის გამო ფაშისტები დიდი ხანია გამოუშვეს საპყრობილეებიდან, და ბონში სასწრაფოდ ამუშავებენ ყოფილი ნაცისტებისათვის ზარალის ანაზღაურების კანონის პროექტს. ბონში კომპარტიის აკრძალვა ვერ მოასწრეს, რომ უკვე მზადდება ნაცისტური პარტიის აღორძინება. ხელისუფლებმა მუშათა კლასიც არ დაივიწყეს: ნაცისტები საპყრობილეებიდან გამოვიდნენ და ძველ ადგილებზე ბრუნდებიან—ხელმძღვანელ პოსტებს იკავებენ, მუშა პატრიოტები კი თავის მხრივ იკავებენ წინანდელ ადგილებს, რომლებიც მათ ჰიტლერის დროს განუმზადეს,—საპყრობილეებში სხდებიან. განა ეს კლასობრივი მშვიდობა არ არის. დორტმუნდში ბრალდებულთა სკამზე მოხვდნენ მაღაროელი მუშები კარლ მალჰოფერი და ალბერტ ჰაფლერი. მათ ბრალი დასდეს კომუნისტურ საქმიანობაში. ჰაფლერი არასოდეს არ ყოფილა კომპარტიის წევრი. მაშ რაში მდგომარეობს მისი კომუნისტური საქმიანობა? თურმე იმაში, რომ იგი მუშათა კლასის უფლებებს იცავდა. მალჰოფერის დანაშაული კიდევ უფრო მძიმეა — იგი დასავლეთ გერმანიაში ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგაც იბრძოდა.

ბონის დემოკრატიამ თავისი არცთუ ძალიან რთული იურისპრუდენცია შეიმუშავა. ვინ არის ომის წინააღმდეგი?— კომუნისტები. ვინ არის ფაშიზმის წინააღმდეგი? — კომუნისტები. ვინ არის ხალხთა მეგობრობის მომხრე? — კომუნისტები. დიახ, ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ ბონში ყველას, ვინც მშვიდობისა და მეგობრობის მომხრეა, ბრალს სდებენ „კომუნისტურ საქმიანობაში“. ამრიგად, ბონის დემოკრატიის საპყრობილეთა სიკეთე შეიძლება დასავლეთ გერმანიის მეტ წილ მოსახლეობაზე გაავრცელო. ვერავინ ვერ დაიჩივლებს, რომ იგი ხელისუფლებმა დაივიწყეს. ორ მაღაროელს საპყრობილის კარი გამოუკეტეს თუ არა, ეს ხელისუფალნი ეშურებიან კიდევ ერთი სიურპრიზით გაახარონ დასავლეთელი გერმანელები. მზადდება ერთბაშად თხუთმეტი მუშის პროცესი.

ვინც საპყრობილეში არ ჩაუსვამთ ფაშისტების ადგილას, მათ ჯერჯერობით შეუძლიათ დასჯერდნენ ბონის დემოკრატიის სხვა სიკეთეს — შეუძლიათ უმუშევრები გახდნენ. აი, მაგალითად, ამ დღეებში დაითხოვეს რეკლინგჰაუზენის ახლოს მარლეს ქიმიური ქარხნის საწარმოო საბჭოს თავმჯდომარე პანტფერდერი. იგი იმაში ამხილეს, რომ პროფკავშირულ მოძრაობაში მონაწილეობდა. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ პანტფერდერი საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიერ პარიზში მოწვეულ კონფერენციას დაესწრო.

ამერიკის რეაქციული გაზეთები გაჰყვირიან: „ჰიპ, ჰიპ, ურა!“. დასავლეთ გერმანიის რეაქციული გაზეთები გაჰყვირიან: „ჰოხ!“. ისინი ხმამაღლა უმღერიან სამოთხეს ბონის მიწაწყალზე. და როცა მუშა პროფკავშირში აქტივობისათვის საპყრობილეში მიჰყავს პოლიციის ხელკეტით აღჭურვილ მთავარანგელოზს, ბონის რესპუბლიკის მოქალაქე საპყრობილეში ჯდება არა უბრალოდ, არამედ სრული ფუფუნებით — სამოთხისებურ ჰანგებში „თავისუფალი სამყაროს“ სიხარულზე.

**იურ. ჩაპლიგინი.**

(„პრავდა“, 1/II)

# „მთავრობათა მეთაურების კონფერენციის გადადება აღარ შეიძლება“

### უცხოეთის გამოხმაურება ნ. ა. ბულგანინის წერილზე დ. ეიზენჰაუერისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის 1 თებერვლის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ბერლინის დემოკრატიული გაზეთები ბეჭდავენ წერილის დაწვრილებით შინაარსს სათაურებით, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებაა მაღალ დონეზე მოწყობილი თათბირის მთელი ყურადღება მიაპყროს ყველაზე გადაუდებელ საკითხებს. „ნოიეს დოიჩლანდი“ და „ბერლინერ ცაიტუნგი“ განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობას პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნია ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა. ბეჭდავს რა წერილის შინაარსს, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ორგანო „ნოიე ცაიტი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს საერთაშორისო პრობლემათა თანდათანობით გადაჭრას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა ნათელი და გარკვეულია საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ რამდენადაც გერმანიაში არსებული ვითარების დროს გაერთიანება არ შეიძლება განხორციელდეს, თუ გერმანიის ორივე სახელმწიფო არ დაახლოვდა და არ შეთანხმდა, საბჭოთა მთავრობა სავსებით უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას გერმანიის კონფედერაციის შექმნის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის მეტმა წილმა ცენტრალურმა გაზეთებმა დაბეჭდეს ნ. ა. ბულგანინის წერილი დ. ეიზენჰაუერისადმი. „რუდე პრავომ“ დაბეჭდა იგი სათაურით: „საჭიროა ვესწრაფოდეთ ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებას“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თათბირის დღის წესრიგის შესახებ ყველა მონაწილე ერთი აზრის უნდა იყოს და რომ სახელმწიფოს საშინაო საქმეები არ შეიძლება საერთაშორისო მოლაპარაკების საგანი გახდეს. საჭიროა, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, მკვდარი წერტილიდან დაიძრას განიარაღების პრობლემა და ბოლო მოეღოს „ცივ ომს“.

გაზეთი „პრაცე“ აღნიშნავს, რომ მთავრობათა მეთაურების კონფერენცია აღარ შეიძლება გადაიდოს, რადგან ამაზე დამოკიდებულია მშვიდობის შენარჩუნების პრობლემის გადაჭრა. გაზეთი „ზემედელსკე ნოვინი“ წერს, რომ „დროა კაცობრიობის განვითარებაში გადაიშალოს ახალი ფურცელი, ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობის ფურცელი“.

პოლონეთის გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ ნ. ა. ბულგანინის წერილს ბეჭდავს დიდი სათაურით: „ბულგანინი ეიზენჰაუერს მიმართავს წინადადებით, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის თათბირმა განიხილოს ცხრა საკითხი. საბჭოთა მთავრობა მზად არის მიიღოს მონაწილეობა რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელთა თათბირში ან უფრო ფართო წრის თათბირში“.

„ჟიცე ვარშავი“ სათაურში წერს: „ცხრა ყველაზე სასწრაფო საკითხი. ყველაზე რეალურია სადავო საკითხთა თანდათანობით გადაჭრის მეთოდი“.

„გლოს პრაცი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ მიღწეულ იქნა შეთანხმება მაღალ დონეზე თათბირის მოწვევის შესახებ, იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც ამ შეთანხმების შესრულებას ეხება, შეიძლება ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით, ისე, რომ განსაკუთრებული სიძნელეები არ შეიქმნას.

დ. ეიზენჰაუერისადმი ნ. ა. ბულგანინის ახალმა წერილმა პარიზის პრესის ცხოველი რეაქცია გამოიწვია. უკლებლივ ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს ამ დოკუმენტის დაწვრილებით შინაარსს, ბევრი მათგანი კი მოკლე კომენტარებს უკეთებს მას. მემარჯვენე პრესა, როგორც ჩვეულებრივ, ცდილობს „პროპაგანდისტულ მანევრად“ გამოაცხადოს სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივა. კონსერვატიული გაზეთი „ფიგარო“ აშკარად უარყოფითად ეკიდება საბჭოთა წინადადებას, რომ გადაუდებლად მოეწყოს მთავრობათა მეთაურების თათბირი და ამასთან დაკავშირებით ცდილობს საერთოდ სახელი გაუტეხოს მაღალ დონეზე მოლაპარაკების იდეას. იგი ამტკიცებს, მაგალითად, რომ მთავრობათა მეთაურების ჟენევის 1955 წლის თათბირი „ყრუთა დიალოგი“ იყო, თუმცა ცნობილია, რომ ამ თათბირს საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელება მოჰყვა.

გაზეთ „ლუმანიტეში“ საბჭოთა დოკუმენტის დაწვრილებითი შინაარსი დაბეჭდილია პირველ გვერდზე სათაურით: „ბულგანინი წინადადებით მიმართავს ეიზენჰაუერს ახლავე დაიწყონ „ზედაფენებში“ თათბირის მომზადება დიპლომატიური გზით“. გაზეთ „ლიბერასიონის“ აზრით, მაღალ დონეზე თათბირის მომზადების პროცედურას, რაც საბჭოთა კავშირმა დასახა „უეჭველად მიიღებს დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა დიდი უმრავლესობა“.

ინგლისის გაზეთმა „ტაიმსმა“ იმ გვერდის ნახევარი, სადაც უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია იბეჭდება, დაუთმო თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობას, რომელშიც გადმოცემულია საბჭოთა წინადადებების შინაარსი და მათი კომენტარები. ეხება რა წინადადებას, რომ მოიწვიონ თათბირი მაღალ დონეზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით, რომელიც კვლავ დასაბუთებულია ნ. ა. ბულგანინის წერილში, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ წინადადების მიხედვით, პროცედურისა და სხვა საკითხები, რომლებიც ეხება ასეთი თათბირის პრაქტიკულ განხორციელებას, შეიძლებოდა გადაჭრილიყო ჩვეულებრივი დიპლომატიური წესით. მაგრამ კორესპონდენტი წინასწარ ცდილობს სკეპტიკური დამოკიდებულება გამოიწვიოს იმის შესაძლებლობისადმი, რომ მოიწვიონ თათბირი მაღალ დონეზე, აცხადებს რა, რომ „დასახული დღის წესრიგის ბევრ საკითხს უკვე გულცივად შეხვდნენ დასავლეთში“.

ლონდონის გაზეთ „დეილი ექსპრესის“ პოლიტიკური მიმომხილველი ასეთსავე გეზს ადგას, აცხადებს რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაეთანხმონ თათბირის მოწვევას, რომლის დღის წესრიგი მოსკოვმა შეადგინა“. (საკდესი).

## იაპონიის გაზეთები ეიზენჰაუერისადმი ნ. ა. ბულგანინის ახალი წერილის შესახებ

ტოკიო, 4 თებერვალი. (საკდესი). ტოკიოს გაზეთები პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ბეჭდავენ ცნობას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის ახალი წერილის შესახებ.

გაზეთი „ასახი“ მოაგონებს მკითხველს, რომ ეს ამ უკანასკნელ ხანს ნ. ა. ბულგანინის უკვე მესამე წერილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური თავის წერილებში აყენებს ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიც არის ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, თავდაუსხმელობის შეთანხმების დადება, ატომგულის იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება და სხვ.

## გამოხმაურება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეიზენჰაუერისადმი ნ. ა. ბულგანინის წერილის გამო

ბონი, 4 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ყველა დიდმა გაზეთმა პირველ გვერდზე დაბეჭდა ცნობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი ნ. ა. ბულგანინის ახალი წერილის შესახებ. გაზეთებს მოჰყავთ საბჭოთა წინადადებანი, რომლებსაც წერილი შეიცავს. მეტი წილი გაზეთები მთლიანად ჩამოთვლიან საკითხებს, რომლებიც წერილის მიხედვით უნდა განიხილოს თათბირმა უმაღლეს დონეზე.

გაზეთი „ნოიე რაინ ცაიტუნგი“ თავის კომენტარებში წერს, რომ საბჭოთა კავშირმა ბევრ საკითხში ანგარიში გაუწია ამერიკის შეერთებულ შტატებს.

## განაჩენი ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის საქმის გამო იუგოსლავიაში

ბელგრადი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, ბელგრადის საოლქო სასამართლოში დამთავრდა ბ. კრეკიჩის, ა. პავლოვიჩისა და მ. ჟუიოვიჩის ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის პროცესი, რომელთაც ბრალად დასდეს მტრული საქმიანობა, რის მიზანიც იყო მშრომელთა ხელისუფლების დამხობა და იუგოსლავიის ეროვნული ერთიანობის შერყევა.

სასამართლომ ბ. კრეკიჩს მიუსაჯა 7 წლის, ა. პავლოვიჩს — 8 წლისა და მ. ჟუიოვიჩს — 4 წლის სასტიკი პატიმრობა. ბრალდებული დ. სტრანიაკოვიჩი ამ პროცესზე მოწმედ გამოდიოდა. მისი საქმე ცალკე გაირჩევა.

## სსრ კავშირისა და პოლონეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სავაჭრო მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ნამდვილი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა და წარმატებით დამთავრდა, 4 თებერვალს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეთანხმებას 1958-1960 წლებში საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ და ოქმს 1958 წლის საქონელბრუნვის შესახებ.

დადებული სამი წლის შეთანხმების მიხედვით საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის 1960 წელს მნიშვნელოვნად გადიდდება 1957 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას მიაწვდის რკინის, მარგანეცისა და ქრომის მადანს, ბამბას, ნავთობს, ნავთობპროდუქტებს, ფერად ლითონებს, აპატიტ-კონცენტრატს, ზოგიერთი სახეობის მოწყობილობას და სხვა საქონელს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს მიაწვდის ქვანახშირს, თუთიას, საზღვაო და სარეწაო გემებს, რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას, ზოგიერთი სხვა სახეობის მოწყობილობას, შაქარსა და სხვა საქონელს.

ხელმოწერილი შეთანხმებანი ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

აღნიშნულ შეთანხმებებს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, პოლონეთის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ვ. ტრომპჩინსკიმ.

## პრეზიდენტი ხო ში მინი ინდოეთსა და ბირმაში გაემგზავრა

ხანოი, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს ინდოეთისა და ბირმის მთავრობათა მიწვევით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი ამ ქვეყნებში გაფრინდა მეგობრობის ვიზიტით.

აეროდრომზე ხო ში მინმა მოკლე განცხადება გააკეთა. კერძოდ, მან თქვა: „ამ მოგზაურობის მიზანია კიდევ უფრო განამტკიცოს მეგობრობა სამ ხალხს შორის და აზიისა და აფრიკის ხალხთა კავშირი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი ძალების განმტკიცებას“.

## არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნის გამო

კაირო, 4 თებერვალი. (საკდესი). მენის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო მზადება საყოველთაო სახალხო პლებისციტისათვის, რომლის მოწყობა დასახულია 21 თებერვალს. პლებისციტი ეწყობა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შექმნისა და გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის საკითხზე. პლებისციტი ერთსა და იმავე დროს მოეწყობა ეგვიპტესა და სირიაში.

## ინდონეზიის მთავრობის გადაწყვეტილება

ჯაკარტა, 4 თებერვალი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობამ გააუქმა საკონცესიო უფლებები „დატჩ ბატავია პეტროლეუმ კომპანისა“, რომელიც ექსპლოატაციას უწევდა ჩრდილოეთ სუმატრის ნავთობის სარეწებს. არმიის შტაბის უფროსის გენერალ ნასუტიონის განკარგულებით აღნიშნული ნავთობსარეწები მთელი მათი მოწყობილობით დაექვემდებარება ეროვნული ნავთობის კომპანიის კონტროლს.

## ამერიკელ მკვლევართა ვიზიტი მირნში

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ბეკერი, რომელმაც ამ დღეებში ამერიკელ პოლარელ მკვლევართა ჯგუფთან ერთად ინახულა მირნის ობსერვატორია ანტარქტიდაში, მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სამეცნიერო ბაზას, რომელიც კვლევას აწარმოებს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის მიხედვით. ამერიკელმა მეცნიერებმა, იუწყება ბეკერი, „აღმოაჩინეს, რომ ოკეანოგრაფიის, მეტეოროლოგიისა და გლაციოლოგიის დარგში რუსებმა დიდი წარმატება მოიპოვეს“. ბეკერის სიტყვით, 18 სახლი მირნში „ისეთივე მკვიდრად ნაშენი, მაგრამ უფრო მოხერხებულია, ვიდრე სახლები ამერიკის რომელიმე პოლარულ ბაზაში“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მეტეოროლოგიური მოწყობილობა „ისეთსავე დონეზეა, როგორც ამერიკის ბაზების მოწყობილობა“. ამერიკელი მეცნიერები აგრეთვე გააკვირვა საბჭოთა ყველგან მავლის „პინგვინის“ კარგმა მონაცემებმა. გლაციოლოგმა რიჩარდ კამერონმა ყინულის საფარის შესწავლის საბჭოთა მოწყობილობას „ჩინებული“ უწოდა.

# ლ ი კ ა ნ ი

საქართველოს კურორტებზე

ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ თვალწარმტაც ადგილას, წიწვოვან ტყეში, ზღვის დონიდან 836 მეტრ სიმაღლეზე გაშენებულია ლიკანის სანატორიუმი. მისი ტერიტორია 48 ჰექტარ ფართობს შეადგენს. ეზოში მოწყობილია ლამაზი ხეივნები, გაზონები, გაშენებულია დეკორაციული მცენარეები. დამსვენებელთა განკარგულებაშია საზაფხულო ესტრადა, სასპორტო და საცეკვაო მოედნები, ბიბლიოთეკა, ორი დიდი საბილიარდო, დღეგამოშვებით უჩვენებენ კინოსურათებს.

სანატორიუმს აქვს საკუთარი ელექტროსადგური, მექანიზებული სამრეცხაო, გარაჟი, აფთიაქი, კანალიზაცია, ფოსტა, მუშა-მოსამსახურეთათვის სამი 48-ბინიანი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, დაწყებითი სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, 1,5 ჰექტარზე დამხმარე მეურნეობა — ბოსტანი და ხეხილის ბაღი, ორანჟერია, სასადილო, მაღაზია, მუშათა კლუბი.

ლიკანში მისი ხელსაყრელი მდგომარეობის გამო ტემპერატურა წლის მანძილზე არ განიცდის მკვეთრ მერყეობას. აქ არ იცის არც ძალიან ცხელი ზაფხული, არც ძალიან ცივი ზამთარი, მზის სხივოსნობა კი წლის განმავლობაში ორი ათასზე მეტ საათს აღწევს. ამიტომ სანატორიუმი ზამთარ-ზაფხულ მუშაობს და მკურნალობისას წლის ყოველ დროს თითქმის თანაბარ ეფექტს იძლევა.

სანატორიუმი დიდ გამაჯანსაღებელ მუშაობას ეწევა. აქ მკურნალობენ კუჭნაწლავისა და გულსისხლძარღვთა სისტემის, თირკმლების დაავადებას, დიაბეტს, ნიკრისს. ტარდება მთელი ორგანიზმის კომპლექსური მკურნალობა როგორც კლიმატური ფაქტორით, ისე სანატორიული რეჟიმით, მინერალური წყლებით, დიეტით.

აქ ყოველთვის ერთდროულად მკურნალობს და ისვენებს 600-მდე კაცი, სულ კი გასულ წელს სანატორიუმმა გაატარა 7.800 დამსვენებელი.

შორს არის განთქმული ლიკანის სახელი. აქ მოდიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან — კამჩატკიდან და კურილის კუნძულებიდან, სახალინიდან და მურმანსკიდან, მაგადანიდან და მოსკოვიდან. ამჟამად აქ მკურნალობენ შორეული პრიმორიეს მხარიდან მუშები ი. ნიკულინი, ა. ლებედევი, მემანქანე ა. აიაგიევი, ვლადივოსტოკიდან ოსტატი პ. მელნიკოვი, კომის ავტონომიური ოლქიდან ტრაქტორისტი ი. კონიშჩევი, ამურის ოლქიდან მბურღავი მუშა პ. რაბკო და სხვ.



ავადმყოფთა განკარგულებაშია ბალნეოლოგიური კორპუსი, სადაც ხდება მკურნალობა ტალახით, ჰიდროპატიით, პარაფინით, სუბაკვალური აბაზანით, ელექტროტალახით და სხვ. აქ მოწყობილია ახალი სამკურნალო აპარატურით მომარაგებული ორი ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, სამი რენტგენის, ენდოსკოპიის, საოპერაციო, სტომატოლოგიური, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტები, ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ლაბორატორია და სხვ. მძიმე დაავადებულთათვის გამოყოფილია 150 საწოლი, სადაც ავადმყოფებს სპეციალურ მკურნალობას უტარებენ.

ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს გარდა, ავადმყოფებს აქ მკურნალობენ მაღალკვალიფიციური კონსულტანტები — მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. ანდღულაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კ. ერისთავი, პროფესორი ა. ბაკურაძე, დოცენტები შ. გუგეშაშვილი და ა. ერისთავი, რომლებიც სისტემატურად მიდიან იქ და ხელმძღვანელობენ სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას.

ლიკანის სანატორიუმი მზიური საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კურორტია, რომელსაც დიდი პერსპექტივები აქვს.

**ე. მამალაძე.**

ლიკანი, იანვარი.

## „რ ჩ ე უ ლ ი“



სახელგამმა გამოსცა პოეტ ალიო მირცხულავას (?) — შენგელიას რჩეული ლექსების კრებული. კრებული შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „მე მიყვარს“, „ქართული სიმღერა“, „ომგადახდილი ლექსები“, „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“, „მეგობრული ხმები“, „პატარებს“.

წიგნის რედაქტორია ილ. ხოშტარია. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. გორდელაძეს. ტირაჟი 3.000, ფასი 6 მანეთი და 80 კაპ.

## ბელგიელი მეცნიერის ხსოვნის საღამო

31 იანვარს მოსკოვში გაიმართა ბელგიელი პალეონტოლოგ-დარვინისტის, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის ლუი დოლოს დაბადების მეასე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა პროფესორმა ვ. ა. ვარსონოფიევამ, რომელიც შეკრებილთა სახელით გულთბილად მიესალმა დარბაზში მყოფთ ბელგიის ელჩს სსრ კავშირში ვ. ლორიდანს და საელჩოს თანამშრომლებს.

პალეონტოლოგიისა და ბიოლოგიის განვითარებაში ლუი დოლოს შრომების როლის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ლ. შ. დავითაშვილმა.

ელჩმა ვ. ლორიდანმა მოკლე სიტყვაში მადლობა გადაუხადა კრების მონაწილეებს ბელგიის შესანიშნავი მეცნიერის ხსოვნისადმი ყურადღებისათვის. („პრავდა“).

### სასამართლოს დარბაზიდან

## ბ ა ნ დ ი ტ ო ბ ა ა რ ჩ ი ე ს

ერთის შეხედვით გზასაცდენილი ახალგაზრდები არ იყვნენ. პირიქით, ყველა შესანიშნავ გზაზე იდგა და სტუდენტის საამაყო სახელს ატარებდა. დავით ნესტორის-ძე კვეტენაძე თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი იყო. ამავე ინსტიტუტის მესამე კურსზე ირიცხებოდა ოთარ ნესტორის-ძე ილიგატოვიც, ამირან მემედალის-ძე ხარებავა სწავლობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსზე, ხოლო გივი დურსუნის-ძე თხილაშვილი — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორე კურსზე, ამირან მემედის-ძე მიქელაძე დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონეა. მაგრამ რა გამოვიდა? მათ ამ საპატიო მდგომარეობას ბანდიტობა არჩიეს: შეიარაღდნენ დანებით, იშოვნეს სპორტული შეჯიბრების სასტარტო დამბაჩა და დაიწყეს ტაქსის მძღოლების ძარცვა. ბანდიტებს გასული წლის სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში ათიოდე ტაქსის მძღოლი გაუძარცვავთ და ზოგი მათგანი დანით დაუჭრიათ.

გადაგვარებული ახალგაზრდების საქმე ამ დღეებში განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. გ. ლომიძის თავმჯდომარეობით და მიუსაჯა: დ. კვეტენაძეს და ო. ილიგატოვს 20 წლის პატიმრობა თვითეულს და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა; ა. ხარებავას და გ. თხილაშვილს თვითეულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და პირადი ქონების კონფისკაცია, ხოლო ა. მიქელაძეს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

**ს. დირბელი.**

## სპორტის ამბები

### საჭადრაკო ჩემპიონატი

რიგა. 5 თებერვალი. (სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა ჩემპიონატის მე-14 ტური.

ყურადღებას იპყრობდა პირველობის გათამაშების ლიდერის ბ. სპასკისა და საქართველოს წარმომადგენლის ოსტატ ბ. გურგენიძის პარტია. გადამწყვეტ ეტაპზე ბ. გურგენიძემ შეძლო პოზიციაში გარდატეხის შეტანა და ძლიერი გამსვლელი პაიკი მიიღო. პარტია გადაიდო. გროსმაისტერების ა. კოტოვისა და ა. ტოლუშის აზრით, ბ. სპასკის მდგომარეობა მძიმეა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. ტალმა დაამარცხა ე. გელერი, ტ. პეტროსიანმა — ა. გიპსლისი. მ. ტაიმანოვი-ლ. პოლუგაევსკი, ა. ბანიკი-ნ. კროგიუსი და ფ. კორჩნოი — ს. ფურმანი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

* * *

რიგა. 5 თებერვალი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბ. გურგენიძეს გადადებული ჰქონდა ორი პარტია ა. გიპსლისთან და ბ. სპასკისთან. აქედან მან მოიგო პირველი, ხოლო მეორე კვლავ გადადო მისთვის მოსაგებ მდგომარეობაში.

### მსოფლიოს პირველობაზე

მოსკოვი. 5 თებერვალი. (სპეც. კორ.). გუშინ გაიმართა ქალთა შორის მსოფლიოს პირველობაზე მატჩ-რევანშის პირველი ტური ჭადრაკში ო. რუბცოვასა და ე. ბიკოვას შორის. ო. რუბცოვამ წარმატებით ჩაატარა შეხვედრა და გათამაშების ცხრილში პირველი ქულა ჩაიწერა.

### ფრენბურთის ბადესთან

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება „ა“ კლასის ფრენბურთელთა კოლექტივებს შორის. გუშინ გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები.

4 თებერვლის მატჩების შედეგები ასეთია: ქალთა გუნდები — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 3:0, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 3:1, ცსკმო (მოსკოვი) — „დინამო“ (კრასნოდარი) 3:0; ვაჟთა გუნდები — სკვო (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 3:0, ცსკმო (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) 3:1, „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (სვერდლოვსკი) 3:2.

### ჩემპიონები კრივში

ბათუმი. 5 თებერვალი. (ტელეფონით საკ. კორ.). აჭარის ხალხური შემოქმედების საოლქო სახლის თეატრში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1958 წლის პირადი პირველობა კრივში.

წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: ი. ამურზინი (თბილისი), შ. ხუდოიანი (ბათუმი), დ. კვანტალიანი (ქუთაისი), რ. გრიგორიანი, ზ. კოზაევი, ო. ზებუღაშვილი, გ. დარბაისელი, ი. სილაგაძე, თ. მიქაელიანი და კ. ბაბახანიდი (თბილისი).

### წერილი რედაქციას

ნება მიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციასა და პირს, რომლებმაც მომილოცეს დაბადების 60 და მოღვაწეობის 40 წლისთავი.

**ლადო გუდიაშვილი,**
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

რედაქტორი პ. რატიანი.

### დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 18 თებერვალს დღის 1 საათზე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. გივი ვასილის-ძე მატაბელი — თემაზე: „დაკვირვება ბალანტიდიაზის კლინიკურ მიმდინარეობაზე მკურნალობასა და პროფილაქტიკაზე დაავადების კერაში“.

2. ნიკოლოზ ივანეს-ძე გურგენიძე — თემაზე: „ბარძაყის დიაფიზის არასწორად შეხორცებული მოტეხილობების მკურნალობა ძვალშიგნითა ფიქსაციით“.

ა. წ. 25 თებერვალს, დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. თენგიზ ილიას-ძე ახმეტელი — თემაზე: „გვიანი სიკვდილის მექანიზმის საკითხისათვის ცხიმოვანი ემბოლიის დროს“.

2. ირაკლი ალექსანდრეს-ძე ჩიხლაძე — თემაზე: „მოტორული ოპტიკური და ვესტიბულური ქრონაქსიის მაჩვენებლები ტუბერკულოზურ მენინგიტით დაავადებულთა ანტიბაქტერიული პრეპარატებით მკურნალობის პერიოდში“.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

### დ ღ ე ს

### თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მეფე ერეკლე, **გრიბოედოვის სახელობის** — მგლანგველი, **სომხური დრამის** — როგორ მოვათვინიეროთ ცოლი, **მუსიკალური კომედიის** — ნაბიჭვარი.

### ი ყ ი დ ე ბ ა

ბაკურიანის 12-დღიანი საგზურები ა. წ. 8 თებერვლიდან 15 სექტემბრამდე. ღირებულება 360 მანეთი. განაცხადები მიიღება ორგანიზაცია-დაწესებულებებისაგან. აგრეთვე წარმოებს ინდივიდუალური გაყიდვა.

მისამართი: შრომის სასახლე, სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკი“, ტელეფონი 3-15-20, დამატებით 62.

### ტელეგადაცემათა პროგრამა

### 6 თებერვლისათვის

19.30 — კონცერტი ბავშვებისათვის, 20.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — „მინდა ყველაფერი ვიცოდე“ (გამოშვება მესამე), 20.15 — კინოჟურნალები, 20.35 — სატელევიზიო დადგმა ჯეკ ლონდონის მოთხრობისა „ადამიანის მოკვლა“, 21.05 — მხატვრული ფილმი „ორი მებრძოლი“.

---

მეუღლე დარიკო, შვილები რუსუდან, ოთარ, და მაშო ოჯახით, სიძე ზ. დალაქიშვილი, რძალი შ. კოხრეიძე; ლია, მერაბ იუწყებიან **ნიკოლოზ ივანეს-ძე მერაბიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II, 7 ს. 30 წ. გამოსვენება 9-II, 3 ს. ლაბინის შესახვ. № 9 (ოქტომბრის რ.).

მეუღლე ლიზა, შვილები შოთა, თინათინ, ციალა, რძალი თამარ, სიძეები ვ. სამადაშვილი, გ. ბაჩაშვილი იუწყებიან **ხარქის დარჩოს-ძე ხუბიეროვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 8 ს. გამოსვენება 8-II, 4 ს. რაჭის ქ. № 14 (ლენინის რ.).

მარჯვენა ნაპირის თბილკვებავაჭრობის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან **ცისანა შალვას ასულ ლეჟავას** გარდაცვალებას.

და შურა, სიძე შარბეი ჯინჯოლიები; ლუბა, პარმენ, ლუნა, იასონ, ძაბა, მარო, თალიკო, ნუგზარ, ნელი ოჯახებით იუწყებიან **ამირან ტარასის-ძე ცირამუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-II, სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს რ.).

შვილები თამარ, ტერეზა, რძალი თამარ ქვლივიძე; ლ. ჟორდანია, ნ. კიტია იუწყებიან **ცაბუ ალექსის ასულ ჟორდანიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-II ქ. ზუგდიდიდან ნეკრასოვის ქ. № 7, დაკრძალვა სოფ. ცაიშში.

მეუღლე ნინო, შვილები სერგო, ზურაბ, ტატიანა, შამილ, არჩილ ოჯახებით, და ბაცია, ძმები ვარლამ, დიომიდე იუწყებიან **ტრიფონ ივანეს-ძე ახვლედიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ღნორისაში (ქუთაისის რ.).

შვილი ქეთევან, სიძე გიორგი ქავთარაძე შვილებით, დები მარიამ, ნინო ანტონინა, მართა, ანა; შუშანა ჩხაიძე, ილია ბარბაქაძე ოჯახებით იუწყებიან **დავით ნიკოლოზის-ძე ბარბაქაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-II, 8 ს. გამოსვენება 8-II, 4 ს. კამოს ქ. № 67.

მეუღლე მარიამ, შვილები დემიანე, ლოთია, შურა, დები ფოცრო, ქრისტინე ოჯახებით იუწყებიან **ვლადიმერ ახლუს-ძე გოგოხიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-II, სოფ. ქვემო ბარღებში (გალის რ.).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ახალციხის რაიკომის მუშაკები იუწყებიან **სოლომონ გაბრიელის-ძე მოსიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-II ახალციხეში, გამოსვენება პროლეტარების ქ. № 3.

თბილისის სალიანდაგო დისტანციის თანამშრომლები იუწყებიან **თამარ მიხეილის ასულ ბასიაშვილი-ქავთარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-II, 4 ს. ხუდადოვის ქ. № 2.

მეუღლე ელისაბედ, შვილი ვლადიმერ სარაჯიშვილები ოჯახით; მარინე, ელენე, თამარ, ნიკოლოზ, დავით, კონსტანტინე სუმბათაშვილები, მალო კეზირია, ელენე ფირალიშვილი იუწყებიან ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის **გიორგი ვასილის-ძე სარაჯიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-II, 4 ს. რუსთაველის პროსპ. № 20.

შვილი კლიმენტი სიგუა, რძალი ციალა გერმისაშვილი; ქეთევან სიგუა იუწყებიან **ანტონ ბურდღუს-ძე სიგუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-II, 4 ს. სოფ. ნახუნაოში (გეგეჭკორის რ.).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26 რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43 კულტურისა და ყოფაცხოვრების ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.